


5-47  
1935. 12

36.0363-44  
303-20102

# ՀԱՅԿԱՍՏԱՆ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆ  
1-2

# მილოცვები — მისალმებები

„პიონერის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოსულია მთელ რიგ ორგანიზაციებიდან მილოცვები. მათ შორის არიან 1. ქ. ტფილისის. 2. მემსის 3. საქ. კოოპინკავშირის 4. გან. განყოფილებების! 5. რედაქციების და სხვა.

**ტექსტი მილოცვებისა წავა შემდეგ ნომერში**

**რაიონის განათლ. განმ. გამგეობს; სკოლების დირექტორებს და პიონერკაზანიათს**

„პიონერის“ იუბილეს ჩამატარებელ კომიტეტი გთხოვთ ყველა მასალე იუბილეს მსვლელობის შესახებ გადმოგზავნოთ შეუფერხებლად „პიონერის“ რედაქციაში.

**საიუბილეო კომიტეტი**

ფასი 75 კაპ.

„პიონერი“

№ 1-2

ინანგარი-თებერვალი

1935

წელიწადი 89-10

კვლავის მისამართი:

კიროვის ქ., № 7.

ს ა ს ე ლ გ ა მ ი,

სკ. და სკლ. სემსორი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ცხრა (ლექსი) — გიორგი კაჭანძის . . . . .	1
2. მისალმება ჟურ. „პიონერის“ იუბილეს გამო . . . . .	1
3. დედის ღიმილი (მოთხრობა) — ცკვიტის . . . . .	2
4. მურთაზი მწერლებთან შეხვედრაზე — ლადო გეგეჭკორის . . . . .	6
5. ერთგული სურმა (ლექსი) — სანდრო ულენტის . . . . .	9
6. სტრატოსტატი (მოთხრობა) — ვად. რუსულიდან გ. გაჩეჩილაძის მიერ . . . . .	10
7. სახელოვანი იუბილარი (მისალმება) — გიორგი კაჭანძის . . . . .	12
8. ია და ყაყაო (ლექსი) — ი. გრიშაშვილის . . . . .	13
9. განვლილი წლები (მიმოხილვა) — შ. თაბუკაშვილის . . . . .	13
10. წარმატებით მიმდინარეობს „პიონერის“ იუბილე (ლენინის რაიონი) . . . . .	16
11. „პიონერის“ იუბილე (კიროვის რაიონი) . . . . .	17
12. სამწუხარო ამბავი . . . . .	18
13. შახსევანელ ჰაჯის ძალი (თათრული ზღაპარი) — თარგმ. ლ. ჭიჭინაძის . . . . .	19
14. წინალამით (ლექსი) — დ. შამათავასი . . . . .	20
15. ქართველები უძველეს დროში — სიმონ ქვარიაშვილის . . . . .	21
16. პიონერს (ლექსი) — მოწაფე ნ. ჯანაშიასი . . . . .	22
17. გავხდეთ ინჟინერი (ლექსი, დასასრული) — ილია ხინარულიძისა . . . . .	23
18. თვლები აქვს, მაგრამ ვერ ხედავს — ლუბა თონჯაძისა . . . . .	24
19. თხის საჩივარი (არაკი) — გ. ლომთათიძისა . . . . .	267
20. ორი ნაწყვეტი პოემიდან „ჩენი გოგი“ — არ. ონელისა . . . . .	23
21. ზამთარი (ლექსი) — გ. კალანდაძისა . . . . .	29
22. ბავშვს (ლექსი) — ქეთო მღვიმელისა . . . . .	30
23. გამოცანა — კ. რატიშვილისა . . . . .	30
24. მარწყვზე (მოთხრობა) — ლ. ხვიჩიასი . . . . .	30
25. „პიონერის“ ათი წლისთავს — ელისო აბრამიშვილისა . . . . .	32
26. ჟურ. „პიონერის“ 1934 წ. ყველა ნომრის შინაარსი . . . . .	33

პ/მგ. რედექტორი; -- აკ. რეზიაშვილი.  
პ/მგ. მდივანი; -- ლავრ. ზიზინაძე.



(გაგრძელება\*)

ერთი საათის შემდეგ სულიკო უკვე ბორჯომში იყო. ათასი ჯურის ხალხის ფუსფუსი, ავტომობილთა სრიალი და მრავალი დიდი შენობა თვალწინ კორიანტელივით დაუტრიალდა.

ცოტა ხნის შემდეგ მეორე ხიდსაც გასცილდნენ და ვატკეცილ ბორჯომის წყლის ქარხნის გზასაც დაადგნენ.

სულიკოს ბიძა ქარხანასთან ახლო იდგა, რადგან იმ წარმოებასთან ჰქონდა საქმე და მთელი დღე იქ დატრიალებდა. სულიკომ მეორე ხიდთან ახლად აშენებული უხარმაზარი შენობა რომ დაინახა, თვალი ველარ მოაშორა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! რამდენი ფანჯარა აქვს, რამდენი კარი! ლამის ცას ასწვდეს, ისეთი მაღალია! იმის კარ-მიდამოზე ხალხი ჭიანჭველასავით ფუსფუსებს, მის დიდ კარებში კი როგორც ახლადნაყარი ფუტკარი, რიგი შედის და რიგი გამოდის.

პა, პა, პა... რა ამბავია!  
მიდის წინ სულიკო და სულ უკან-უკან იხედება.

უცებ სულიკოს ზურგს უკან რაღაც გუგუნი მოესმა, თითქოს შორიდან რაღაც მოქუხდა.

— აჰა, ავერ მატარებელიც მოდის... კი ნუ შეგეშინდება, დიდი ყვირილი იცის.


იღიმება სულიკოს მამა და ისიც უკან იხედება. სულიკო გაჩერდა და გაინაბა. ცხვირწამოწვეტილი კლდის იქით მართლა მატარებელი გამოჩნდა.

მოდის, მოგუგუნებს, ვიწრო ლიანდაგზე ჭიაცულისავით მოიკლაკნება და თან ქშინებს; წინიდან ცეცხლს აფრქვევს, გვერდებიდან ორთქლის ისრებს აშიშინებს, მისახვევ-მოსახვევში გაცურებულ თევზივით კუდს მიიქნ-მოიქნევს და კივის გამაღებელი.

მატარებლის კვილმა სულიკოს ყურები გაუქედა, მაგრამ მას თვალიც არ ჩაუხუჭავს, არც დაღრეჭილა — ამ უცნაური ვეშაპის ნახვით ისეთ აღტაცებაში მოვიდა.

სულიკო წიგნში დახატულ მატარებელს კარგად იცნობდა, მაგრამ ნამდვილად კი რა ყოფილა, თქვენი ჭირიმე! უკვირს სულიკოს და თავის ქერქში ველარ ეტევა. მატარებლის კვილი ტყით აქოჩრილ მაღალ მთებში იფანტება, მათი გამოძახილი შემდეგ უფრო შორსა სხლტება და ბორჯომის დაუსრულებელ მთის ფენებში დიდხანს ირხევა.

\*) დასაწ. იხილეთ № 11 (1934 წ.)



— ტაფ, ტაფ, ტაფ, ტაფ...— გაიძახიან უკვე წინ წასული მატარებლის თვლები, და შედგებილი პატარა ვაგონები ცვეკვითა და ხროტინით მისდევენ მატარებელს.

სულიკოს კისერი წაუგრძელებია და შორს იცქირება.

— წამო, ბიჭო, რას მიშტერებიხარ?! ახლა მთელი დღეები მანდ არ იქნები? ისე მოგაბეზრებს მაგისი ჭყვიტინი თავსა, რომ იქნებ სულ ყურებში თითებს იცობდე!

დაწინაურებული მამა პატარახანს შედგა, ბავშვს ისევ ღიმილით გამოახედა და სულიკომ რომ ნაბიჯს უმატა, მამა ისევ დაწინაურდა.

მარჯვენა მხრივ ბორჯომელა მძლავრად მხუოდა, ცრემლივით სუფთა და ანკარა, და დიდ ლოდებს რომ ეხეთქებოდა, მთელ სიგრძეზე მდინარე დაძასშულ ლეჩაქივით თეთრი ქაფით იკემსებოდა.

ბორჯომელას ორივე მხრივ მაღალი ქანდრები შესერივით მისდევდენ და დღუღობით გატყევილ გზას ხშირ ჩრდილს აყენებდენ.

გზადაგზა სულიკომ ბევრი ლამაზი შენობა ნახა. ერთ დიდ შენობას ეწერა: „აბაზანი“. მის წინ ცარიელი ახალი ავტომობილი იდგა, ზედ შოფერი არ ჩანდა.

— ახი არ არის, ახლა ჩაფხდე, დავატრიალო ის ვერანა დერძი და გავაქროლო?! ე... ე... ე... რა ამბავი იქნება!

ფიქრობს სულიკო და უფრო სწრაფად მიაბიჯებს. ავერ ბალიც. დიდი წითელი შენობაც გამოჩნდა. ქარხნის გვერდით ფარდულივით რაღაცა მიუშენებიათ. სულიკომ გაიხედა და უცებ მიხვდა რაშია ციკო საქმე: პირუკულმა მიბმულ ორთქმავალს ვაგონები ამ დიდ ფარდულში შეუკურებია და თვითონ გარეთ დარჩენილი მძიმედ ოხრავს და თან ისე აბოლვებს, თითქოს ყალიონს შეექცევას.

— ფუი, ფუი!! — რაღაც უკმაყოფილებით ქშიტინებს ორთქლმავალი...

— ეეეე... რა ზორბა რამ არის ეს ვერანი, ნეტა ფილენჯის ქარიანივით რა აქშიტინებს? — ფიქრობს სულიკო და ფებს უჩქარის, მალე უნდა ყველაფერი ნახოს. რამდენიმე ნაბიჯით მამას გაუსწრო და ორთქლმავალს გაშტერებული თვალებით დაუწყია ცქერა.

— შ-შ-შ-შ-შ, — მოულოდნელად დაიშინა ორთქლმავალი, და თავზარდაცმული სულიკო, როგორც გასხლეტილი შტო, განზე გახტა და უცებ უკან რომ მოიხედა, საშინლად დაიდრიალა:

— ვაიმე, მამა! სულიკოს მამა მთლად ორთქლში იყო გახვეული და ბავშვს ეგონა ეს არის მამა დამელუპაო.

— რა იყო, ბიჭო, რა გაღრიალებს? — გამოეხმაურა მამა, გაქანდა და ბავშვს სწრაფად მოავლო ხელი. ის იყო მატარებელს სულ მთლად გაუთანასწორდენ, როცა პირმოდიმარმა მემანქანემ ცალი თვალი ეშმაკურად გააყოლა სულიკოს, მარჯვედ დასწია ზემოთ გაბმულ მავთულს და ერთი ისეთი ღონივრად შეაჭყვიტინა, რომ სულიკო კანჯარივით გადახტა მეორე მხარეს.

მემანქანემ ხმამაღლა გადინარხარა და ვაგონებიდან ჩამოხსნილი ორთქლმავალი ისე გააქროლა, რომ გულგახეთქილმა სულიკომ მოსახვევში თვალი ძლივს მოჰკრა.

— აი, შენ გაგავერანა ღმერთმა, კაი რამ შენა ყოფილხარ! გული კი ბუდიანად გადმომეტრიალა და ახლა თუგინდ ჯანდაბას წადი...

ფიქრობს გაბრაზებული სულიკო და ცრემლით სავსე თვალებს მუშტებით იწმენდს, ორთქლმავალს კი თვალს მაინც ვერ აშორებს.



\* \* \*

— ეს გასაოხრებელი დიდი შალაშინი-  
ვით კი გარბის და!! სწორედ ცხვირკომ-  
ბოსტა ღურგლის შალაშინივით მისრია-  
ლებს... ერთი დახე მაგასა!

ორთქლმავალი მთას მიეფარა, და სუ-  
ლიკო სწრაფად ფარდულისაკენ მოტრიალ-  
და: როგორც დიდ სცენას ფარდა ახადო,  
ორთქლმავლის წასვლის შემდეგ მრავალ-  
ნაირი მოძრაობა და საქმიანობა ფარდულის  
შიგნით ნათლად გამოჩნდა. მუშებს ვაგო-  
ნების კარები გაეღოთ. ფიცრულის დიდ  
ბაქანზე როლიკებიანი ლიანდაგი ეგო და  
ამ ლიანდაგზე ვაგონიდან გამოღებულ ყუ-  
თებს რომ დადგამდნენ, ყუთები ქარხნისა-  
კენ ისე სწრაფად გარბოდნენ, თითქოს  
თოვლიანი შალაშინიდან ციგები მოკუ-  
რავნო. ყუთები ცარიელი ბოთლებით  
იყო სავსე და მიხვეულ-მოხვეულ ალაგებ-  
ზე ისე კოხტად ტრიალდებოდნენ, თითქოს  
ლეკურს ცეკვავნო.

ქარხნიდან მანქანების გუგუნე და ბოთ-  
ლების ჩახაჩუბი კარგად დაკრულ დოღსა  
და მუსიკასავით ისმოდა და ეს ხმაური ყუ-  
თების ცეკვას მეტად უხდებოდა.

— ე ბიძაშენი აქ არსად ჩანს... ნეტა  
სად იქნება?! — ჩაიდუღდუნა სულიკოს მა-  
მამ, როცა ფარდულში მომუშავენი შეა-  
თვალეფრა და მარცხნივ ვიწრო გასავლისა-  
კენ პირი იბრუნა. სულიკო იღვა და გა-  
კვირვებული ხარბად იჭყიტებოდა.

— რასა ღვეხარ, ბიჭო?! წამო „კან-  
ტორაში“ ვიკითხოთ, წამო ღროზე, თო-  
რენ ი ქყვიტინა შლეგიანივით კიდევ წა-  
მოგვეწვა და ერთი კიდევ აგადრიალებს.

ახლა კი გაიგო სულიკომ მამის შეხმაუ-  
რება, ხელწაკრულივით მოტრიალდა, ვიწ-  
რო გასავალში იმანაც სწრაფად შეუხვია  
და მამას ხბოსავით აედევნა.

გავიდა ხუთი წელიწადი. სულიკომ სა-  
ფაბრიკო-საქარხნო სკოლა გაათავა და ბორ-  
ჯომის წყლის ქარხანაში მექანიკოსის აღ-  
გილი დაიკავა. ამ საქმეს ის მთელი არსე-  
ბით შეეთვისა. ცრიაგი ღღეა. ბორჯო-  
მის ხე-ხუფში ნისლის მარმაშები ნაგლეჯე-  
ბად წვანან. ჯერ აღრეა.

გრძელწვერა ბებერი სიმონა ბოთლების  
ნამტვრევებს მისჯდომია, ხელში კაუჭიანი  
რკინა უჭირავს და ნამტვრევებს ქექავს. მან-  
ქანიდან ჩამოცეწილ ბოთლების საცობებს  
კრეფს. სიმონა დილიდანვე არ არის გუნე-  
ბაზე, ბოთლების წატეხილ მაგარ ყელებს  
რკინას სცემს და გულის ბოღმას იმით იქარ-  
ვებს.

— დამკვრელი ხარო... რა ჩემ ფეხე-  
ბად მინდა იმათი დამკვრელობა, თუ კი  
აღამიანადაც არ ჩამთვლიან! დამკვრელი  
მაშინა ვარ, როცა ქარხანას ბოთლების ნამ-  
ტვრევებიდან ღღეში ხუთიათას ბოთლის  
საცობს გამოფურჩეფ, ან და სათითაო ბოთლს  
გატეხას გადავარჩენ, მაგრამ ი „კობერა-  
ტიაში“ კი როცა კაი რამ გამოჩნდება, —  
მაშინ ბებერი ხარო, მეუბნებიან და შენ  
რად გინდაო. აი ღედსა! ეგ არის მაგათი  
სამართალი? აფსუს, ჩვენო ლანგამერო:  
რაც ის „დიღებტორი“ აღარა გეყავს, ჩვენი  
საქმე უკან-უკან წავიდა, ახლა თერამეტი  
ინჯილერი ბრძანებლობს, თერამეტივე  
„დიღებტორობას“ ჩემობს და საქმე კი... მწ!  
არა, ძმაო, მე აქ დამდგომი აღარა ვარ!  
იმას მუშები უყვარდა, ყოველთვის ჩვენზე  
კიდევ ფიქრობდა... აბა ახლა ეს რა არის?  
ასხლეტიღმა შუშის ნატეხმა გუშინ კინა-  
ღამ თვალის გამოძახარა... რამდენი ხანია  
ვეხვეწები სათვალეები მომეცით მეთქი, მაგ-  
რამ შენც არ მომიკვდე! ყველამ ბაინდუ-  
რას ყური გამოიბა, ვილა არის შენი გამ-  
გონი?!

სიმონამ მძიმედ გაიქნია თავი და მისმა ფაფუქმა გრძელმა წვერმა გაბერტყილ ქეჩისაგით ბოლო კოხტად შეარხია.

— აჰა, სიმონა, იქეიფე!! აქ დახე, — ნამტვრევებს იმდენი საცობი გამოჰყვა, რომ, მგონი, დამკვრელობა მეორედ კიდევ გარგუნონ. ახალგაზრდა მუშამ ამ სიტყვებით დაუცალა ნამტვრევებით სავსე ყუთი და ღლინჯშემოყრით თავზე დაადგა.

— ბიძია, დღეს შენ რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, რა ამბავია, რამ გაგაჯავრა?!

სიმონამ ხელი ჩააქნია და გვერდზე გახედა, გრძელი წვერი უხეიროდ შემოკვეცილ ფთილასივით დაებრიცა.

— რატომ არ გაჯავრდები, შვილოსა, სახელი ჩემია და სახრავი თქვენი. აქაოდა ახალგაზრდები ვართო, ყველაფერი ჩვენთვის არის საჭიროო, თქვენ ბებრები ხართ და გინდა თუ არა დაიხოცენითო. გაგიგონიათ ეს უბედურება, თქვენი ჭირიმე?! რა გინდათ, ძმაო, ძალათი ხომ თავებს ვერ დავიხოცავთ და სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენც გვინდა ყველაფერი.

— მერე და რა დგაკელით, ბიძია, რას გვემდღურები, რომ ვერ გავიგე!

— როცა თქვენი სასარგებლო არ არის, რად გაიგებთ! ეგეთი კაი ბიჭები რომ იყოს, გუშინ საცვლები რომ ძმაბიჭებმა ხელათ გაკართ და განაწილეთ, ერთ წყვილს მეც მარგუნებდით. განა ბებერი რომ ვარ მართლა გიყვივით უნდა ვიარო?

სიმონამ გაჯავრებით უბისაკენ გააქანა ხელი, შავად გამჰქვარტლული ხელსახოციდან წითელი წიგნაკი გამოიღო და გაჯავრებით წიგნაკს ხელი დაარტყა, თან ხმა აიმაღლა:

— თუ ბებერი ვარ, ამ ოხრად დასარჩენს რად მაძლევდით? ი წითელ დაფაზე გამომქიმეთ? სიმონას მარჯვენამ იქ

თავი ისახელა და როცა „კოპერატივში“ რამე მოვა, მაშინ სიმონა გავიწყდებათ?! აი დედასა! ასე კი არ არის საქმე! მეც აბრაძას წვერი არ მესხას, თუ აი ამ ჩემი „ქალღღებით“ მახრადე არ ვინახულო და ყველაფერი არ შევიჩოლო. ახლა ის ხომ შორს აღარ არის, — აი ემანდ გახედე! ყოველ დღე თერთმეტ საათზე საბანაოდ მანდ არის, სიმონამ მინერალური წყლის აბაზანების შენობებისაკენ ხელი ამაყად გაიშვირა და სიტყვა კი ველარ დაათავა: ქარხნის სიღრმიდან კონვეიერის როლიკზე ვილაცამ ხარივით ჩამორეკა და ახალგაზრდა მუშა ცარიელი ყუთით გამაღებული შევაზრდა ქარხანაში.

ამ დროს სამმა ბოთლმა ზედიზედ იჭექა, და სიმონას გაჯავრება ისევ იმ გზით წაემართა:

— აგერ მაგათი საქმიანობა! ყოველ შაბაშის დროს ვითომ მანქანებს რემონტს უკეთებენ და აჰა... ბოთლები ზედიზედ ზარბაზნებივით სკდება... არა, არა, ძმაო, ამ ქარხანაში ის ბიჭი, ი ჩვენი ახალგაზრდა მესხანიკი რომ არ ტრიალებდეს, აქ აღარ მედგომინება. ეი, რა ბიჭი გაუზრდია თავის მშობელსა... რა გონებიანი, რა ჭკვიანია! ლანგამერის შემდეგ მარტო ეგ ბიჭი თუ დააყენებს ფეხზე ამ ქარხანას, თორემ ამის პატრონი სხვა არავინ არის. ამ ოთხი წლის წინათ პაწია მუშა იყო და ახლა რა მესხანიკია! ყოჩაღ, ჩვენო სულიკო! ახალგაზრდობა მაგან დაიკვებოს. ყველას ისე უყვარს, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ მოისვამენ, ისეთი სამართლიანი და ალალი ბიჭია.

სულიკოს გახსენებამ სიმონას გული მოუღობო, გაბოროტება გაუნახევრდა. იგი სწრაფად წამოდგა, გადარჩეული ნამტვრევები ნიჩბით გვერდზე მიხვეტა, საცობებით სავსე კასრს ხელი დაავლო და ჩამოსასხმელ განყოფილებაში შევიდა.

— ნაუ, ნაუ, ნაუ! — ისმოდა იქიდან ზარის გუგუნევით ტრანსპორტიორის როლიკებზე ჯოხის ცემა. ეს სიგნალი იყო ცარიელი ბოთლების მიშველებისა, და ყანასავით მღვლევარე კონვეიერებზე ყუთების ქარავანი ისეთი გამალებით მიცურავდა, თითქოს დაბარებულები არიანო. ბოთლების სარეცხი გრძელი მანქანის ყუთები ჩერდებოდნენ და ჯერში დგებოდნენ. მანქანა დუღილით ბორგავდა, ტოკავდა, გრგვინავდა და გრიალებდა; ლერძები, ჭახრაკები და სხვადასხვა სიდიდის რგოლები სხვადასხვა მხრივ ტრიალებდნენ, და დიდი სხეულით ეს სარეცხი მანქანა საშინლად თრთოდა და გუგუნებდა. მანქანის უკან ნაწილიდან კაუსტიური სოდით აქაფებული საპონი აქა-იქ ბამბასავით თეთრად იზენტებოდა.

მანქანა ერთი დაიქუხებდა, წინ რკინის პრტყელ ენას რომ გამოყოფდა, მუშები ზედ თვრამეტ ბოთლს სწრაფად დაალაგებდნენ, ენა ქუხილით ისევ შიგნით ძვრებოდა და გადაყლაპულ ლუკმასავით ბოთლებს მანქანის სიღრმეში მალავდა. შიგნით ბოთლები ადუღებულ ხსნარით მშვენივრად ირეცხებოდა, მანქანის ზემო ნაწილიდან გარეცხილი ბოთლები გარეთ გამოსულ ფირფიტაზე ჩამწკრივებულ კბილებით გამოჩნდებოდნენ, მოვარჯიშე სპორტსმენებისავით ხელად ფეხზე დგებოდნენ, და კონვეიერის საშუალებით ჩამოსასხმელი

მანქანისაკენ წეროებივით მიცურავდნენ. ხონტერის ქუდის მსგავსი ჩამომსხმელი მანქანა მრავალძუძუანი რკინის ქანით ნელა ტრიალებს. რკინის ძუძუებ ქვეშ ბოთლები რიგრიგად მიჰყვებიან და გზადაგზა მინერალური წყლით ივსებიან.

შემდეგ მეორე გზით საცობების დასახურ მანქანასთან ისევ წეროებივით გამწკრივებულნი მისრიალებენ. ბოლოს მომზადებული ბოთლები ქვემოთ ფარდული საკენ მიიართებიან და ასე მიხვეულ-მოხვეული გზით მწვანე კრიალოსანით დღედამ ცურავს.

სიმონამ ბოთლების მწკრივს გახედა, შემდეგ ცოცხი აიღო ხელში და ფრთხილად ჩავიდა პაწია რკინის კიბით დიდ აუზში, სადაც მანქანები იდგა.

— ეს ქარხანა ჩემი დეიძლი შვილივით მიყვარს... ათას რუასსოთხმოცდაათ „გოდაში“ მოვედი აქ და მას შემდეგ ჩემი სისხლი და ოფლი აქ იღვრებოა, ხშირად აყვედრებდა ზოგიერთ უხეშ ახალგაზრდა მუშას სიმონა და თან მართლაც სიყვარულითა და სიამყით ვაჰყურებდა ბოთლების ცეკვას და კონვეიერების დაუსრულებელ ტრიალს. სიმონას ძილის დროსაც კი მანქანების გუგუნე და ბოთლების წკრილი ესმოდა ყურში.

(დასასრული იქნება)

ცქვიტი

## მურთაზი მურლაბთიან უხვუდრაზა

— დღესაც სკოლაში მიდიხარ? მიმართა თავის. შვილს საპნის ქარხნის მომუშავე ქალმა ნანულიმ

— უნდა წავიდე, დედილო უპასუხა მურთაზმა, — ჩვენ ეს საზამთრო არდადეგები კულტურულად უნდა გამოვიყენოთ. სკოლაში ყოველდღე კულტურულ გასართობებს ვაწყობთ. ტფილისში დარჩენილი მოწაფეები სკოლაში დადიან. მეც უნდა წავიდე!

მურთაზი სკოლისაკენ გაემართა. მან საზამთრო არდადეგების წინ კარგი ნიშნები მოიტანა, დედა გაახარა.

ნანულიმ თვალი გააყოლა თავის იმედს, წამოჩითულ ვაჟკაცს და შემდეგ ქარხნისაკენ გაუხვია.

მზიანი ამინდი იყო, თოვლი დნებოდა. ორთაქალის ქუჩები და ეზოები ატალახებული იყო.

\* \*

ნახევარი კილომეტრის გავლის შემდეგ მურთაზი აგრო-ბიოლოგიური სადგურის ლამაზ ხეივანს აჰყვა. აღმართში სიარული ცოტათი შეინელა და გზადაგზა ჩვეულებრივი ცნობის-მოყვარეობით შეათვალიერა ყველაფერი.

— რა კარგი და ლამაზი ჯიშის ქათმებია! — თქვა თავისთვის მურთაზმა, როდესაც აგრო-ბიოლოგიურ სადგურის მეფრინველეობის ნაწილთან შედგა, შეისვენა.

აქ სხვადასხვა ჯიშის ქათმები მხეს ყფიც-ხებოდნენ, იქეჩებოდნენ.

— კა, კა, კა, კა! — აკაკანდა უცბად ჰოლანდიური ჯიშის ქათამი და საკვერცხეში შერგო თავი კვერცხის დასადებად.

— რა კარგი იქნება, ძია ბენო რომ დამეხმარებოდეს ამ ჯიშის ქათმის შინ მოშენებაში! — გაიფიქრა მურთაზმა და გზა განაგრძო.

ავერ ხეივნის მეორე მხარეს, მარცხნით, სათბურებია მოწყობილი. ის აქაც შეჩერდა.

— აგრონომობა უნდა ვისწავლო, კარგი ხელობაა, რა ჯობს საკუთარი ხელით მოყვანილ მიწის ნაყოფს! მაგრამ, ავერ ბაჭიები საკურდღლეში, რა მშვენიერები არიან! არა, ბიოლოგობაც კარგი ყოფილა! — და მურთაზმა ხან ერთ ბაჭიას აადევნა თვალი და ხან მეორეს.

— მწერლები, მწერლები მოდიან, მწერლები! — მოესმა მურთაზს სასკოლო შენობის აივნიდან. მოწაფეები მხიარულობდნენ, კიკიკობდნენ, ცქმუტავდნენ.

ქვემოთ, სკოლის წინ, ეზოში, პიონერთა რაზმი საკრავებით აცნობებდა მთელ სკოლას მწერლების გამოჩენას.

მურთაზი დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, ერთ ადგილზე ვაშეშდა.

— მაშ, ასე, ხვალ დროზე მოდით, საინტერესო კულტურული გართობა გვექნება, — გაახსენდა მურთაზს ქართული ენის მასწავლებლის მიერ გუშინ თქმული ეს სიტყვები და მისთვის ახლა ყველაფერი ნათელი შეიქნა.

წინათ არცერთი მწერალი არ ენახა და ახლა, ასე მოულოდნელად, ერთბაშად ხუთი მწერალი წამოეწია.

— რად მოგიწყენია, ბიჭიკო! — მიმართა მის პოეტმა გ. ქუჩიშვილმა.

— გამარჯობა შენი, — უთხრა მწერალმა რ. ქორქიამ და ხელი გაუწოდა.

მურთაზმა ორთავეს მორცხვად ჩამოართვა ხელი.





— ნუ მორცხვობ, სხვებიც გაიცანი: — ეს სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის განყ. გამგეა, აკაკი რეხვიაშვილი; ეს საბავშვო ლიტერატურის მკვლევარია და კრიტიკოსი — ანიკო ღვინიაშვილი; ესეც საბავშვო მწერალია — ლადო გვეგეჭკორი.

მურთაზი ვათამამდა, თავი მალდა აიღო.

— შენი სახელი? — ჰკითხა ანიკო ღვინიაშვილმა.

— მურთაზი!

— მურთაზი? მთიელი იქნები!

— არა, სვანი ვარ!

— სვანი? რომელ კლასში ხარ?

— მეხუთეში, დეიდა, — უპასუხა მან და მწერლები სკოლის აივნისაკენ წაიყვანა.

\* \* \*

აქ მწერლებს დახვდა აგრო-ბიოლოგიურ სადგურთან არსებულ მე-23 არასრულ საშუალო სკოლის პედაგოგის სადგურის დირექტორის მოადგილის ამხ. ბენო გოგიჩაიშვილის წინამძღოლობით.

მწერლებს ეწყინათ დირექტორის კაკო კერესელიძის საქმეების გამო სხვაგან გამგზავრება.

— ჩვენც ვწუხვართ, რომ ამხ. კაკო ვერ დაესწრო თქვენთან შეხვედრას! — თქვეს მასწავლებლებმა.

— ჩვენი აგრო-ბიოლოგიური სადგური სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებაა. ჩვენი მთავარი დანიშნულებაა მივაწოდოთ სკოლებს აგრო-ბიოლოგიური ხასიათის სასწავლო ხელსაწყოები, ექსპონატები; ამას, რაც კი შეიძლება, კეთილსინდისიერად ვასრულებთ, — განუმარტა მწერლებს ამხ. ბენომ და გააცნო მათ სადგურის კომიტეტის მუშაობა.

მწერლებს ყველაზე უფრო მოეწონათ ცოცხალი კუთხის კაბინეტი. აქ აკვარიუმში მრავალი სახის თევზია. საერთოდ აქაურობას ემჩნევა მტკიცე და მზრუნველი ხელი და ყველა დარგის მუშაკთა ერთსულოვანი, შედუღებული მუშაობა.

\* \* \*

ზემო სართულში ხმაურობდა; მოწაფეები მოუთმენლად ელიან მწერლებს.

აგერ, მწერლებიც შემოვიდნენ დარბაზში, იგრილა მოწაფეების ტაშა.

გაიმართა შეხვედრა. მოწაფეებისა და მასწავლებლების გარდა შეხვედრას დაესწრნენ მოწაფეთა მშობლები და სადგურის მუშა-მოსამსახურენი.

კრება გახსნა ამხ. ბენო გოგიჩაიშვილმა; მან განუმარტა ბავშვებს მწერლებთან შეხვედრის მიზანი. სიტყვებით გამოვიდნენ საბავშვო ლიტერატურის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ კაკო რეხვიაშვილი და ანიკო ღვინიაშვილი. რ. ქორქიამ წაიკითხა ნაწყვეტები საბავშვო მოთხრობიდან; ლექსებით მიმართეს ბავშვებს გ. ქუჩიშვილმა და ლადო გვეგეჭკორმა.

ბავშვებმაც მიიღეს მონაწილეობა შეხვედრაში, წაიკითხეს სხვადასხვა ავტორის ლექსები.

ყველაზე მოხდენილად და ლამაზად წაიკითხა მურთაზმა პოეტ ი. გრიშაშვილის ლექსი „თუ-თუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“. ახალგაზრდების სახელით სიტყვა წარმოთქვა შ. კობაიძემ.

პედაგოგების სახელით ილაპარაკა ქართული ენის მასწავლებელმა ვრ. შანიძემ.

შეხვედრის დროს უკრავდა და მღეროდა სკოლის სიმებიანი (მანდ.-გიტარ. შედგენილი) გუნდი მასწავლარის მ. პატარიძის ხელმძღვანელობით.

დასასრულ მწერლებმა სურათი გადაიღეს ბავშვებთან ერთად. ბავშვები კმაყოფილი დარჩნენ ამ შეხვედრით, მხიარულად გააცილეს მწერლები და სთხოვეს შემდეგშიაც ხშირად მოაწყონ ასეთი შეხვედრები.

ყველაზე უფრო ამას მურთაზი მოითხოვდა, რომელმაც ამთავითვე გაიფიქრა გ. ქუჩიშვილის რომელიმე ლექსის წაკითხვა მომავალ შეხვედრის დროს.

ლადო გვეგეჭკორი



# ერთგული სურმა

ხედავ, მალე გაიზარდა  
ჩვენი ლეკვი კობტა სურმა,  
ერთი თვისა არც კი იყო,  
და დიღობა როგორ სურდა!

როცა წოვდა ძუძუს ხარბად,  
ამაყობდა კულის ქნევით.  
შემდეგ იგი უდარდელი  
მგზავრს მიჰყვოდა ეზოს ქვევით.

მაგრამ მისი ხმა და „რისხვა“  
ბავშვსაც კი არ აშინებდა;  
უაზროდ და მამაცურად  
სურმა ისევ ყვოდა, ყვოდა.

ბუნწილას და ფაფუკთემებს  
აჯავრებდა ყველა სახლში;  
ერთგულ ძაღლის მომავალი  
მონაცხანდა იმის ხმაში.

კობტა იყო და უყვარდათ,  
არ აძლევდენ სურმას საშველს,  
მისი „ამუ“ და ბაჯბაჯი  
ატიწებდა უფრო ბავშვებს.

როცა წოვდა ძუძუს ხარბად,  
ამაყობდა კულის ქნევით;  
შემდეგ იგი უდარდელი  
მგზავრს მიჰყვოდა ეზოს ქვევით.

გაიზარდა სურმა მალე  
და დაკარგა ძველი ნირი,  
მას უბრალოდ აღარ უყვარს  
არც რბენა და ყვოდა ხშირი.

შემოვიღოს ეზოს, უბანს,  
ინახულებს ხშირად ფარებს,  
თან მიჰყვება ერთგულ გზირად  
ცხვრების ფარას, თხებთან ნარევს.

სძოვს ცხვარი, და იქვე სურმა  
დაყრდნობია თათებს დინჯად,  
თითქოს ელის ნადირის ხმას,  
არემარეს თვალით სინჯავს.

ახლა სურმა დიდი არის,  
საქმის დროს ყვეს მხოლოდ მარტო;  
მას მიანდევს: ცხვარი მინდვრად,  
ფარები და ეზო ფართო.

მთაც ხომ იცის სურმამ კიდევ,  
განა მარტო ეზო კმარა:  
იქ მიდიან მაშინ, როცა  
ჩამოცხება ძლიერ ბარად.

უყვარს პატრონს, როგორც წინათ,  
უყვართ ბავშვებს უფრო ახლა,  
თუმცა მათ კი აღარ ართობს,  
ერთგული და დინჯი გახდა.

ხანდრო უდენტო

# სტრატოსტატი

ბავშვებო, დღეს გიამბობთ სტრატოსტატზე და რვა წლის მფრინავ სლაგვაზე, აგრეთვე მის მეგობარზე, რომელიც ნამდვილი მფრინავია.

სლაგვა და მისი მეგობარი ავიატორი ცხოვრობდნენ ერთსადიმავე სახლში, წყნარ ქუჩაზე. ეს ქუჩა, ბავშვებო, მართლაც ძალიან წყნარი იყო. ტრამვაი, ავტობუსები და ავტომობილები აქ არადროს დადიოდნენ. აქ არც გამვლელები ჩანდნენ, ძაღლებსაც კი მობეზრებული ჰქონდა ამ წყნარ ქუჩაში სიარბილი.

ერთხელ სლაგვამ გარეთ გაირბინა და ხედავს — მოსახვევში დგას მთელი ბრბო. აქ იყო შურდულიანი ბიჭიც, დიდსათვალეებიანი კაციც, ცოცხიანი ბებერი მეეზოვე და დეიდა ბავშვით ხელში.

ყველა დგას, თავი მაღლათ აუღია და იყურებიან. სლაგვამაც ასწია თავი, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა მზის გარდა.

— რას უყურებ? — ჰკითხა სლაგვამ შურდულიან ბიჭს.

— სტრატოსტატს. მომეშვი! — დაიყვირა ბიჭმა. სლაგვამ სრულებით ვერაფერი ვერ გაიგო.

— შენ, ძია, რას უყურებ? — ჰკითხა მან დიდსათვალეებიან კაცს.

— შენ რაღას უყურებ, ბაბუა? — ჰკითხა მან ცოცხიან ბებერ მეეზოვეს.

— შტრატოსტატს. მომეშვი, — წაიჩიო ჩიფა უცბილო მეეზოვემ, და სლაგვამ ისევ ვერაფერი ვერ გაიგო.

— მაშ შენ, დეიდა, შენ რაღას უყურებ? — ჰკითხა მან ბავშვიან ქალს.

— სტრატოსტატს. ფეხებში ნუ მეჩხირები, — დაიძახა ბავშვიანმა დეიდამ, ბავშვმა კი გაიცინა და მხიარულად დამოღერა:

— ტრა-ტა-ტა! ტრა-ტა-ტა!

— განა რას აკეთებს ეგ თქვენი სტრატოსტატი? — რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა სლაგვამ. ახლა კი ყველამ ერთად, შურდულიანმა ბიჭმაც, დიდსათვალეებიანმა კაცმაც, ბებერმა ცოცხიანმა მეეზოვემ და ბავშვიანმა დეიდამ დაიყვირეს:

— მიფრინავს, მიფრინავს! — და თავები უფრო მაღლა ასწიეს. დეიდას ბავშვმა კი ისევ გაიცინა და მხოლოდ დამოღერა:

— ტი-ტი-ტა! ტი-ტი-ტა!

სლაგვამ ხტუნაობა დაიწყო, ტაში შემოკრა და დამოღერა, სწორედ ისე, როგორც დეიდას ბავშვმა:

ეს ღრუბელი აფრენილა  
თუ მოთეთრო დიდი გველი?  
თუ მტრედია, რომ ფრენს ნელა,  
რომ დატოვა გუნდი მთელი?  
თუ პირდაპირ გადმოუშვეს  
ჩალის მილით მაღლა ციდან  
მსუბუქი და თეთრი ბუშტი  
გაბერილი მეტად დიდად?  
მე მინახავს ლურჯი მტრედი,  
ბელურა და თუთიყუში.

„სტრატოსტატი“ ამის მეტი  
არ მსმენია არსად ყურში.

სალამოთი კი, როცა შინ მოვიდა სლაგვას მეგობარი ნამდვილი მფრინავი, აღმოჩნდა, რომ სტრატოსტატი არც ჩიტია, არც გველი, არც ღრუბელი და არც საპნის ბუშტი.

აღმოჩნდა, რომ სტრატოსტატი დიდი საპაერო ბურთია, როცა მიწაზეა — ათსართულიან სახლზე მაღალია, სიგანით კი ისე ვანიერია, რომ ასი ბავშვიც ძლივს შემოახვევს ხელს.

— რისგან არის გაკეთებული სტრატოსტატი? — იკითხა სლაგვამ.

— აბრეშუმისაგან, ზევიდან კი დაფარულია რეზინით, რომ წვიმაში არ გაფუჭდეს...

— როგორც ჩემი რეზინის საწვიმარი, — მიხვდა სლაგვა.

— ხალხი სადღა ზის?

— ხალხი ზის გონდოლაში. ეს ლითონის ბრჭყვიალა ბურთია. ის მიბმულია სტრატოსტატზე გრძელი თოკებით.

— გონდოლაში თანჯრები არის?

— არის შვიდი ცალი. ერთი იატაკზე, მეორე ჭერში და 5 დანარჩენი — ბურთის გვერდებზე.

ამ თანჯრებიდან მფრინავი ხედავს ზევით, ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ — ყოველი მხრიდან.

— მფრინავი მარტოდ გაფრინდა? აი, ყოჩაღი ისა ყოფილა!

— არა, გაფრინდა სამი მფრინავი: პრკოფიევი, ბირბაუმი და გოდუნოვი. გესმით, ბავშვებო, დაიხსომეთ, ახლა მათი სახელები იცის მთელმა მსოფლიომ, რადგან ქვეყანაზე ისე მალა არავინ ასულა. ამერიკელი მფრინავებიც აფრენილან, ფრანგი მფრინავიც, მაგრამ ჩვენებმა აჯობეს ყველას.

როცა სლაგვამ ეს გაიგონა, ტაში შემოკრა, დაიწყო ხტომა და დაამღერა:

„ალარასდროს არ ვიკითხავ:  
ამისხენით სტრატოსტატი!  
მე ვავიგე, როცა მითხრეს,

ასე მალა რატომ აღის, რად მიფრინავს მალა, მალდაცაში მზისკენ, მიწის ზედა.


ამბობენ, რომ მასში ახლა გამბედავი ხალხნი სხედან.


მფრინავია ის, საბჭოთა სტრატოსტატს რომ ზევით აპყვა, ცის სივრცეში რომ დაქროდა, ღრუბლები რომ ახლოს ნახა.

ამბობენ რომ სტრატოსტატი რომ დაგვეყურებს ციდან მაღლით, მაღალია, ვიდრე შვიდი ერთმანეთზე მდგარი სახლი.

და აი, ბავშვებო, მის მეგობარ ნამდვილ მფრინავთან ლაპარაკის შემდეგ სლაგვას თვითონაც მოუნდა ფრენა. მაგრამ მეგობარმა მფრინავმა არ წაიყვანა ის თავის თვითმფრინავზე. სლაგვას კი, როგორც თქვენც იცით, არ ჰქონდა არც სტრატოსტატი, არც თვითმფრინავი, არც ღირიყაბლი და არც საჰაერო ბურთი.

ერთი სიტყვით, სლაგვას არაფერი საფრენი არა ჰქონდა. და აი, გადაწყვიტა მან გამოემონებლად გახდომა: „თუ საფრენი მანქანა არა მაქვს, საჭიროა თვითონ გამოვიგონო“. არც ფანერა, არც მუყაო, არაფერი მასალა მანქანისათვის არ მისცეს სახლში სლაგვას. სამაგიეროდ მამას მაგიდაზე იდგა ძალიან შესაფერი ფიტული არწივისა. მამამ თვითონ მოკლა ეს არწივი, როცა ახალგაზრდა იყო.





ფიტული ძალიან ძველი იყო. მისი მუცლი-დან გამომძვრალიყო ბამბა, ფრთები კი სიძველისაგან ძლივს-ლა იდგა. სლავკამ არწივს ფრთები მოამტვრია, მიაბა ბაწრით სახელოებს და ეზოში გავიდა.

ის ეზოში გაიქცა, დაიქნია ფრთები, შეხტა და ადგილზევე დარჩა. ქათამმა მარჯვენა თვალით გადახედა მას და ასე დაიკაკანა: „კე — კო — კა! კე — კო — კა! ვერ აფრინდი შენ მაღლა!“ — თითქოს ასე ისმოდა.

მამალმაც დაიქნია ფრთები და თითქოს იმანაც დასცინა:

— ვერ აფრინდი შენ მაღლა!

სლავკას ახალი საფრენი მანქანის გამოგონება მოუხდა. მან გააკეთა ვეებერთელა ფრანი, დააწერა ზედ წითელი და ლურჯი ფანქრით „მფრინავი სლავკა“, მიაბა ფრანს კუდი და ფოჩები, დაიხურა ყურებიანი ქუდი, სწორედ ისეთი, როგორც ნამდვილ მფრინავს აქვს, და ისევ გამოვიდა კარში.

ეზოში ძალიან ბევრი ბავშვი იყო.

— აი ეს კი მართლა ფრანია! — დაიძახეს ბავშვებმა.

— ეს ფრანი კი არა, საფრენი მანქანაა, — მედიდურად თქვა სლავკამ, — მეც სლავკა კი არა ვარ, არამედ ნამდვილი მფრინავი.

— გაამაყდა. გამედიდურდა. რაზმის უფროსია და ცხვირს ჭერამდის იწევს! — დასცინოდნენ ბავშვები.

ვიღაც ბავშვმა აუშვა ფრანი. სლავკა გაეკიდა, ორივე ხელი წაავლო კუდში და გაქა-

ნებული პირდაპირ გუბნიში ჩაჯდა ისე, რომ წყლის შეხებები ყოველ მხარეს გადაასხა მადრევეანივით.

ფრანი კი მიფრინავდა სლავკას თავზე და მხიარულად ტკაცუნობდა.

შეხეთ, შეხეთ, ეს მფრინავი

არის მართლა საცოდავი:

ის ჰაერში კი არ ფრინავს,

წუმპე არის მისი ბინა.

სლავკა გაიბუტა. ის უცებ გაჯავრდა ქათამზეც, მამალზეც, ბავშვებზეც და საძაგელ ფრანზედაც. სკოლაშიც გაბუტული მივიდა. რვეულში კი იმის მაგიერ, რომ ასოები ეწერა, დახატა თვითმფრინავი არწივის ფრთებით და გრძელი კუდით, როგორც ფრანსა აქვს.

მასწავლებელმა ნინომ კუდიანი თვითმფრინავის დახატვისათვის დაუწერა „სუსტი“ და უთხრა:

— თუ თვითმფრინავი გიყვარს, ჩეწერე ავიოსამოდელო წრეში.

წრეში სლავკას მუყაოც მისცეს, ქსოვილიც და ფანერაც. დააკაკუნეს ჩაქუჩებმა, აზუზუნდნენ ხერხები და ბურღები, ბელურებივით აჭიკჭიკდნენ მაკრატლები.

და როდესაც სლავკამ დაინახა, როგორ აფრინდა ფანერის თვითმფრინავი და ქალაქის პარაშუტი, როგორ დაეშვა ძირს, მან ისევ დაიწყა ხტომა, ტაში შემოკრა და ამღერდა სწორედ ისე, როგორც დეიდას პატარა ბავშვი.

გადმოკეთებული რუსულიდან

ვივი ბაჩჩილაძის მიერ

## სახელოვანი იუვილარი

მიმდინარე წლის თებერვალში ჟურნალ „პიონერს“ ვუხდით თავისი არსებობის და მოღვაწეობის ათი წლის იუბილეს. ეს იუბილე ამავე დროს ქართული საბავშვო ლიტერატურის ზეიმიც არის. ეს ჩვენ გვჯერა, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. საქართველოში ჟურნალი „პიონერი“ ერთერთი ენთუზიასტი ორგანოა, რომელიც ჰაბუკური გატაცებით იბრძოდა და იბრძვის ქართული საბავშვო ლიტერატურის ზრდისა და განვითარებისათვის.

თავისი სახელოვანი ათი წლის მანძილზე ჟურნალ „პიონერს“ ერთი წუთითაც არ მოუხუტავს თვალი, იგი ყოველდღე ფხიზელი და ბრწყინვალე იყო. ბევრი საინტერესო ლექსი და მოთხრობა გამოაქვეყნა „პიონერმა“ თავის ფურცლებზე. შემდეგ ეს საინტერესო ლექსები და მოთხრობები ლამაზ კრებულებად გამოიცა და ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელი წიგნები გახდა. ამ წიგნებს ჩვენი ახალგაზრდები გატაცებით კითხულობენ, შე-

სანიშნავ ადგილებს იწერენ თავიანთ რვეულებში და იხკებირებენ ნათელ სტრიქონებს.

ხუთი წელიწადია სისტემატურად ვთანამშრომლობ ჟურნალ „პიონერში“. ამ ხნის განმავლობაში „პიონერის“ ფურცლებზე გამოვაქვეყნე ორმოცამდე ლექსი და რამდენიმე მოთხრობა. შეიძლება ეს ცოტა იყოს, მაგრამ მეტი გაკეთებას მომავალში ვფიქრობ. მე ბუნებრივად საბავშვო და ახალგაზრდობის პოეზიის შემოქმედი ენთუზიასტი ვარ. ეს გარემოება მახარებს და მაძლევს მტკიცე რწმენას, რომ პოეზიის ამ ფრონტზეც უფრო გავშალო და გავაღრმავო ჩემი პოეტური მუშაობა. ჟურ-

ნალ „პიონერის“ იუბილე კიდევ უფრო ზრდის ჩემს პოეტურ უნარს და ჩემს შემოქმედებებს მუშაობას მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. ისევ ვიმეორებ: ჟურნალ „პიონერის“ იუბილე ქართული საბავშვო ლიტერატურის ზემოც არის. ეს მდგომარეობა ყველას უნდა ახარებდეს. მე პირადად, როგორც ამ ლიტერატურის ოჯახის ერთი წევრი, უდიდეს სიხარულს გამოვთქვამ და გულწრფელად ვესალმები ჩვენი საბავშვო ლიტერატურის სახელოვან და საკმაოდ დამსახურებულ იუბილიარს — ჟურნალ „პიონერს“.

გიორგი კაჭახიძე

და და ყაყაჩო

ერთხელ წითელმა ყაყაჩომ,  
შავი თხა რომ აქვს გულადა,  
მიმართა იას ამაყად,  
ზვიადად, გაბედულადა:  
— მე ტანადი ვარ, მაღალი,  
ხალკათად ამოვსულვარ და...  
შორიდან დასანახი ვარ,  
შენ მე არ მგაეხარ სრულად.

იამ მიუგო ყაყაჩოს  
ჩვეულებრივად, ნელადა:  
— მე, მართალია, არ ვჩანვარ,  
შენ ყველა გხედავს ველადა,  
მაგრამ ეს დაიმახსოვრე,  
რაც ცნობილია ძველადა:  
ვისაც ვინ უყვარს, ჯურღმულშიც  
მოსძებნის უეჭველად.

ი. გრიშაშვილი.

## განვლილი წლები

ფურცლავ „პიონერს“... ვინ უწყს, რამდენი ენერგია შევალეთ ამ ნაცნობ ფურცლებს, რა ვაებით და ტანჯვით შობილა თითო ნომერი! მასალების გროვა... სარედაქციო კოლეგიის სხდომები... სიმშრალე... გაშიშვლებული საზმეცნიერული საკითხები...

ეს სიმშრალე თან სდევდა ჟურნალს პირველ ხანებში. მხატვრულ თქმას კლავდა სუსტი მსჯელობა დიდ საკითხებზე. ასე იყო პირველ ხანებში, შემდეგ კი ჟურნალი თანდათანობით

გაუმჯობესდა, რედაქციის კარი შემოაღეს მათ, ვისაც შეეძლო ბავშვის სულის სიღრმის გაგება. მოვიდენ „ძველნი“, ამუშავდა მათი კალამი, გაჩნდნ ახლებიც — და სიახლის დაბერა სიომ. დაიწყეს წერა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ა. მამაშვილმა და სხვა ნწერლებმა, გაფართოვდა და გამდიდრდა თემატიკა ჩვენი ჟურნალის. მხატვრული სიტყვა ამუსიკადა იმის ფურცლებზე, მაგრამ... შიგ მაცნც ბლომად იყო „თვალმარგალიტი“, ბევრ-

საკითხს არც ეხებოდა ჩვენი ჟურნალი და ბავშვთა მთელ რიგ მოთხოვნებს ნაწილობრივ თუ უპასუხებდა. მხატვრობა — სუსტი, დენადობა მწერალთა კადრის... წინსვლა კი მინც იყო, ჟურნალი გზას მიიკვლევდა მკითხველის გულში.

ზოგმა მწერალმა ჯეროვანად გაწაფა ხელი, ალლო აულო მკითხველების ასაკს, შეეცადა მათთვის გამხდარიყო ნაცნობი, გასაგები და საყვარელი, ზოგი კი წერდა ბუნდოვანად, ჭრელ-ჭრელი ფრაზებით და ამაოდ აკაკუნებდა პიონერთა გულის ჭიშკართან; იყვნენ შემთხვევითნიც, უშნო სიტყვების დოღს რომ მართავდნენ... დრო ვიდოდა.

„წყალს“ შეებრძოლა მხატვრული თქმა. ახალგაზრდებმა კუნთი გამართეს. წამოიზარდნენ ოსტატები მხატვრული სიტყვის. „პიონერი“ იყო მათი დედა, მათი აკვანი. წამოიზარდნენ — და, ვით მერცხალნი გადაფრენილნი, გაქრენ, წავიდნენ, შეეხიზნენ დიდთა ჟურნალებს... ბავშვთათვის წერა — ეს რა მათი საკადრისია!!

მაგრამ კიდევ წამოიზარდნენ ახლები, „ძველებიდანაც“ ზოგიერთნი შეეხმატებილნენ ჟურნალს, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდობის გაკაჟება ახალი სულით, მათგან გამოზრდა ახალი დროის ადამიანის, დაბრკოლება რომ ვერ აშინებს ვერავითარი.

დრო გადიოდა, და „პიონერიც“ იპყრობდა ახალ მწვერვალებს.

ფეჟურცლავ კომპლექტებს. მაინტერესებს კადრის საკითხი. ვინ როდის წერდა? ვინ რა ხანს დუმდა? ვინ „გადიდკაცდა“ და ჩამოშორდა?

ვნახოთ, რას გვეტყვის კომპლექტები...

## 1925 წ.

ჟურნალი „წითელი სხივი“.

თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება ს. ერთაშინდელი; ათავსებს ლექსებს, მოთხრობებს. თემატიკა — რევოლუციური. მეტი ქანება ჩანს პროზაში.

აქვე ვხვდებით დ. თურდოსპირელს, მაგრამ იშვიათად — სულ ოთხი მასალა წლის განმავლობაში.

ე. პოლუმორდვინოვი ათავსებს ლექსებს (ოთხს), მოთხრობას „ლალო“.

კ. ლორთქიფანიძე წარმოადგენილია სამი ლექსით.

დაბეჭდილია დ. ელიოზიშვილის შვილი ლექსი.

უხვდაა მშრალი წერილები საზმეცნიერულ საკითხებზე, პიონერთა ვალდებულება-მოვალეობაზე.

გვხვდება თარგმანები. არ ჩანს გეგმიანობა მათ შერჩევაში.

მეცნიერება და ტექნიკა „გაილევის“ მხოლოდ ორ ნომერში.

სად არის „ძია შიო“? რად დუმს ცქვიტი? ქუჩიშვილი? სხვები? არ გვყავს კადრები?

## 1926 წ.

ამ წელს გამოეცვალა სახელი „წითელ სხივს“ — დაერქვა „პიონერი“.

კადრების საკითხი არც ამ წელს მოგვარებულია. უხვდაა ლექსები, მაგრამ ჩვიდმეტ პოეტში მხოლოდ სამია ნაცნობი.

ამ წელს კ. ლორთქიფანიძის 13 ლექსია მოთავსებული და თემატიკაც, წინა წელთან შედარებით, მდიდარია. ათავსებს ორ მოთხრობასაც.

დ. თურდოსპირელს მოცემული აქვს სამი მოთხრობა.

ე. პოლუმორდვინოვის კალამს წინსვლა ეტყობა პროზაში, ჭარბობს ისევე ლექსები.

ს. ერთაშინდელი შარშანდღურად უხვია — ლექსები, პიესები, მოთხრობები.

დიდი ადგილი ეთმობა მშრალ წერილებს; მის ნაცვლად, რომ ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის საჭირო იდეები მოცემულ იყოს მხატვრულად — მოთხრობის, ლექსის, პიესის სახით, აქ ვხვდებით უსულგულო თხრობას, დიდაქტიზმს. ამ სახის 56 წერილია წლის განმავლობაში მოცემული (ორჯერ მეტი, ვიდრე მოთხრობები).

მოცემულია ნ. კეცხოველის სამხარეთ-მცოდნეო მასალა, მაგრამ ეს დარგი ტუნწობს. საკმაო ადგილი ეთმობა ბავშვთა შემოქმედებას.

იგივე კითხვა:

— არ გვეყავს კადრები?

თვალდათვალ იზრდება ზოგი ახალგაზრდა მწერალი, მაგრამ უკვე მომწიფებულნი და ბევრ-გზის ნაცადნი არ ჩანან.

### 1927 წ.

ამ წელმა გარდატეხა მოგვცა, მაგრამ ბელეტრისტიკას ისევ ჭარბობს მშრალი წერილები. წინ მიდიან და იზრდებიან კ. ლორთქიფანიძე და ე. პოლუმორდვინოვი (ლექსები, მოთხრობები); ს. ერთაწმინდელი განაგრძობს წინა წლებში აღებულ გეზს და ხშირად იბეჭდება. „პიონერს“ შეემატა გ. ქუჩიშვილი, რომლის ლექსები სწვდება ახალი თაობის გულს.

### 1928 წ.

ეს წელი ახალი კადრების შემოძვრებია. პირველად ვხვდებით „პიონერის“ ფურცლებზე ა. მაშაშვილს, კ. კალაძეს, ი. ვაკელს, ს. ეულს, ს. წეველს, ვ. ჟურულს, ნ. დაფნარელს. ს. მთვარაძეს პ. სამსონიძეს, ა. ჩაჩიბაიას, ვ. ჩაჩიბაიას, დ. ციციქიშვილს, ზოგი მათგანი ამ წელს მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა ჟურნალის ფურცლებზე, მაგრამ საფუძველი უკვე ჩაყრილი იყო ჟურნალში მათი თანამშრომლობისათვის. ძველ კადრებს გამოაკლდა გ. ქუჩიშვილი, — ამ წელს ის სრულიად არ დაბეჭდილა, შედარებით ძუნწობდა ე. პოლუმორდვინოვი, დ. თურდოსპირელმა მხოლოდ ერთი მასალა მოგვცა; არც კ. ლორთქიფანიძეს შეუწყუხებია თავი.

### 1929 წ.

კვლავ გამოჩნდა ქუჩიშვილი, მაგრამ მხოლოდ ორჯერ. მიჩუმდა პოლუმორდვინოვი. ერთაწმინდელი ძველებურად იბეჭდება ყოველ ნომერში. ძუნწობენ მაშაშვილი, ეული (ორ ნომერში), თურდოსპირელი (ერთი მოთხრობა წლის განმავლობაში), წეველი (ერთი ლექსი.) შარშანდელთან შედარებით ხშირად იბეჭდება ვ. ჟურული (ხუთი ლექსი), ა. ჩაჩიბაია ათავსებს ოთხ მოთხრობას, ს. მთვარაძე — ორს. კადრები იზრდება: გამოჩნდნენ ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე (მათ ლექსებში გრძნობთ პოეტის ციას), ა. აღამია, მ. მიქელაძე, ვ. გაბესკირია.

პროზაიკოსებ! კიემატენენ ს. წვერავა და ლ. ჭიჭინაძე.

ერთხელ დაიბეჭდა ნ. ზომლეთელი რევოლუციური მოძრაობის შესახებ საინტერესო მასალებს ათავსებს ბ. ბიბინიშვილი — მშრალი თხრობის ნაცვლად ის მკითხველის თვალწინ მოხდენილად შლის რევოლუციური ბრძოლის წარმტაც მომენტს („ფოლადის სამეფული“, „საიდუმლო გვირაბი“, „მენშევიკურ სამოთხეში“).

### 1930 წ.

ამ წლის განმავლობაში ჟურნალში ხშირად თანამშრომლობენ ი. აბაშიძე, ს. ერთაწმინდელი; სამჯერ დაიბეჭდა ს. ეული, თითოჯერ — ქუჩიშვილი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, მთვარაძე, სამსონიძე, წვერავა. ძუნწობენ მაშაშვილი, კაჭახიძე. ვხვდებით ახალ გვარებს: ბ. ჩხეიძე, გომიაშვილი, ბობოხიძე, გვასალია, კაშმაძე, დოლიაშვილი. რედაქციის კარი შემოაღო მარიჯანბაც, მაგრამ... მხოლოდ ერთხელ. წინა წლების აქტივი ნაწილობრივ პასიურობს.

### 1931 წ.

პოეზიაში უმთავრესად აქტიურობენ ახალგაზრდები — შამათავა, კაშმაძე. იშვიათად იბეჭდებიან ი. აბაშიძე, მ. კაჭახიძე, ვ. ქუჩიშვილი, ნ. ზომლეთელი, კ. ბობოხიძე, ს. წვერავა, ბ. ჩხეიძე, მ. მიქელაძე, ა. ჩაჩიბაია. ერთაწმინდელი ისევ ერთგულობს. გამოჩნდა ცქვიტი — მხოლოდ ერთხელ. კვლავ არსად ჩანს შიო მღვიმელი. გარეგნულად ჟურნალი ცუდია, — არ ვარგა ფორმატი, შრიფტი, ილუსტრაციები.

### 1932 წ.

ჟურნალს შეემატა საგრძნობი ძალა — გამოჩნდა შიო მღვიმელი. ქუჩიშვილის ლექსებიც წყალობს „პიონერის“ ფურცლებს. მაშაშვილი და სხვები, რომლებსაც 1928 წელს გულთიად დახვდა „პიონერი“, კვლავ არ წყალობენ მას. პოეზიაში საგრძნობი მიღწევები აქვთ ნ. დაფნარელსა და გ. კაჭახიძეს. იბეჭდება ლექსები კაშმაძესი, სამადაშვილისა და შამათავისი.



1934 წ.

პროზა სუსტობს; აქა-იქ იბეჭდება ერთა-წმინდელი, ს. მთვარაძე, ბ. ჩხეიძე, ლ. ჭიჭინაძე; არის ნათარგმნი პროზაც.

ერთ ნომერში თავსდება ძნელოლლის „რწყილისა და ჭიანჭველის გზით“, მერე ეს ავტორი აღარა ჩინს, ჟურნალისათვის კი საჭირო იყო მისი შენარჩუნება,

ჟურნალის გაფორმება ისევ არადამაკმაყოფილებელია.

### 1933 წ.

ჟურნალს საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა. ხშირად ვხვდებით შ. მღვიმელის ნარნარ ლექსებს, განაგრძობენ თანამშრომლობას ქუჩიშვილი, აბაშიძე, ბობოხიძე, შამათაძე, კაშმაძე, მთვარაძე, ჭიჭინაძე; იბეჭდება გოცირიძე, ებრალიძე.

კარგ პროდუქციას იძლევა გ. კაჭახიძე, სამაგიეროდ აქა-იქ თუ გამოჩნდება უდავოდ ნიჭიერი ნოე დაფნარელი, რომელსაც წინსვლის ყველა წინაპირობა აქვს. ახალგაზრდებში აღსანიშნავია გ. კალანდაძე.

კვლავ ძუნწობს მარიჯანა.

ცქვიტი ხალისიანი პროზით ახორციელებს ლოზუნგს „პირით პიონერისაკენ“.

პოეზიის ჰორიზონტზე კვლავ ჩნდება მიჩუმებული ცვარნამი.

ამეტყვილდენ „ძველები“, კარგ იმედებს იძლევა ზოგი ახალგაზრდა.

ჟურნალი საგრძნობლად წინ მიდის.

„პიონერი“ განაგრძობს წინსვლას, სსრკ-ის რაღე თანდათან აკლდება, უფრო და უფრო მეტ უფლებებს იხვეჭს მხატვრული სიტყვა.

პოეზიაში წინ მიიწევა გ. კაჭახიძე, კარგი პირი უჩანს გ. კალანდაძის ლექსებს.

ცქვიტი სიყვარულით ეკიდება საქმეს და ხშირად იბეჭდება.

განაგრძობენ თანამშრომლობას ერთაწმინდელი, ჭიჭინაძე, მიქელაძე, შამათაძე, გოცირიძე, ბობოხიძე, იბეჭდება ონელი, ებრალიძე, ლომთათიძე, ს. ჟღენტი, მარუაშვილი.

„პიონერმა“ უკვე შემოიკრიბა ძველი და ახალი მწერლების ნაწილი, უკვე გადალახა სიძნელებების ნაწილი და განაგრძობს ბრძოლას ახალ-ახალი მიღწევებისათვის.

ათი წელია, რაც იბრძვის „პიონერი“ ახალი თაობის აღზრდის ფრონტზე, ათი წელია, რაც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მებაირალტრის როლში გამოდის ის და საგრძნობი მიღწევებიც აქვს, მაგრამ შეუნელებელი ენერგიით განაგრძობს ბრძოლას, რომ ღირსეულად შეასრულოს ახალი ადამიანის გამოქვდვის ამოცანა.

ვუსურვოთ კიდევ მეტი ენერგია და წარმატება.

შ. თაბუკაშვილი

## წარმატებით მიგდინარეობს „პიონერის“ ი უ ზ ი ლ ე

ლენინის რაიონი

ტფილისში დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს ჟურნალ „პიონერის“ იუბილე. ლენინაიონის განათლების განყოფილებამ პლენხანოვის სახელობის კლუბში გამართა „პიონერის“ იუბილე. იქ შეკრებილი იყვნენ მთელი რაიონის მოწოდებები და მასწავლებლები. იუბილეზე მოწვეულ-

ლი იყვნენ საბავშვო მწერლები: ა. რეხვიაშვილი (რედაქტორი), გ. ქუჩიშვილი, გ. კაჭახიძე, ცქვიტი, ლ. ჭიჭინაძე, ჟღენტი და სხვა. იუბილე დიდი ინტერესით ჩატარდა. გაიმართა ბავშვთა შემოქმედება: ცეკვა, მუსიკა და სხვა.



# „პიონერის“ იუბილა

## კიროვის რაიონი

სალამოს ბინდი ახალი ჩამოწოლილია. ტფილისის ქუჩებს ელექტროშუქი აჩირაღდნებს. ფ. მახარაძის ქუჩაზე მე-14 სრულ საშუალო სკოლის წინ მოწაფეები ირევიან, ესევიან სკოლის კარებს, ბევრი შუა ქუჩაში დგას. კიროვის ქუჩიდან ავტომ მოუხვია, შურდულივით მირბოდა, მისი ყვირილი ქუჩებს აყრუებდა:

— ხომ ხედავთ, მოვრპივარ, ჩამომეცალეთ! შუა ქუჩაზე დგომა არ შეიძლება!

მოწაფეები მიუხვდნენ ავტოს, შეჩქაროდნენ და ქუჩის აქეთ-იქით კიდევ მოგროვდნენ, მაგრამ ყველაზე მეტი იყო სკოლის კარებთან.

შეჯავთფულ ბავშვებში დაბალი ხმა გაისმა:

— აი, მოვიდნენ... მოვიდნენ...

— ა, ბიჭო, მწერლები, მწერლები, — უჩურჩულებდნენ ყურში ერთმანეთს. მერე განცალკევდნენ, გასავლელი დატოვეს...

ქვედა სართულში პიონერებს საკუთარი კლუბი აქვთ. კლუბი ბავშვებით იყო გავსილი. მათ შორის მალალი მასწავლებლები ისე ირხეოდნენ, თითქოს ჩინარები იყვნენ.

კლუბის კარებშივე მწერლებსა და ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორს თავისებური ხალისიანი ღიმილით შეხვდა ბავშვების საყვარელი აღმზრდელი თ. გეგეჭკორი...

ახლა ვის გინდა უცქირო — ბავშვებს, მერცხლებივით რომ ჩამწკრივებულან, თუ სახეიმიოდ მორთულ კლუბის კედლებს...

კედლებს ლოზუნგები ფარავს.

აჰა, იქ, კედელზე, მალლა დიდი წითელი ლამაზი ასოებით წერია:

— მხურვალე პიონერული საღამო ჟურნალ „პიონერის“ ათი წლის იუბილეს!

— გაუმარჯოს ათი წლის იუბილარს!

წრავალი ასეთი წარწერა ამშვენებდა კრიალა კედლებს.

სცენის გარშემო იუბილარის ყდებია გაკრული. ყდებზე ბავშვებია, იცქირებია, თითქოს უხარიათ, იუბილეს რომ უხდიან.

იქვე ტირაჟიცაა ნაჩვენები. ერთმა მშობელმა გაკვირვებით წაილაპარაკა:

— უჰ, რამხელა გაზრდილა „პიონერი“! პირველად ორიათასი ყოფილა, ახლა კი ოცი-ათასი!

კედლებს სუფთად დაწერილი გაზეთიც ამშვენებდა, „პიონერის“ იუბილესთვის მიეძღვნათ.

ფარდა აიხადა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ კრება გაიხსნა. ქართული საბავშვო ჟურნალის ისტორიის შესახებ მოხსენება გააკეთა ერთერთმა მოწაფემ. მოხსენება შინაარსიანი იყო. სიტყვით გამოვიდა ჟურნალის რედაქტორი ამხ. ა. რეხვიაშვილი. ვააცნო მოზემე ნორჩ თაობას, თუ როგორ მზადდება მათი საყვარელი ჟურნალები.

სცენაზე ერთი ცუგრუმელა ჩასკვნილი ბიჭი გამოხტა. მან თავისი მოთხოვნა წამოუყენა მწერლებს:

— ჩვენ გვინდა სამოქალაქო ომის დროინდელი ამბები, საბჭოთა კავშირის გმირი ბავშვების თავგადასავალი, მოთხრობა უცხოეთის მუშათა ბავშვებზე...

ბავშვის მოთხოვნა ტაშის გრიალმა დაფარა, ტაშს უკრავდნენ მწერლებიც: სამართლიანი მოთხოვნა იყო.

მწერლებიდან ლექსები წაიკითხეს გიორგი კაჭახიძემ და ლადო გეგეჭკორმა. სხდომა უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ ცქვიტმა შემოალო კარი და ცოტა ხნის შემდეგ იოსებ გრიშაშვილმა. მათმა შემოსვლამ ტაშის გრგვინვა გამოიწვია. ტაში აღარ ცბრებოდა. ცქვიტმა მოთხრობა წაიკითა, ე. გრიშაშვილმა ლექსი. ბავშვები სულგანბულნი უსმენდნენ.

საიუბილეო სხდომა დამთავრდა.

ბავშვთა შემოქმედების განყოფილება დაიწყო. ზეიმთან დაკავშირებით ჯერ პატარა პიესა დაიდგა. პიესა მ. ყიფიანს ეკუთვნოდა,

მასწავლებელ ქალს. მისი პიესებითა და ხელ-  
მძღვანელობით ხშირად სარგებლობენ ტფი-  
ლისის სკოლები.

ფარდა რომ აიხადა, სცენაზე ჟურნალ  
„პიონერის“ საიუბილეო ნომრის ვადიდებული  
ყდა გამოჩნდა. ყდაში სამი ბავშვის თავი იყო  
გამოყოფილი, ისე რომ არც კი ემჩნეოდა, თუ  
იქ ბავშვები იდგენ. მოულოდნელი იყო, თი-  
თქოს ჟურნალმა ამოიღვა ენა და თავის თავზე  
დაიწყო ლაპარაკი. მათ ლავ. ჭიჭინაძის მო-  
თხრობა „ჩემი ზეიმი“ წაიკითხეს. ეს თითქოს  
ჟურნალის საბოლოო სიტყვა იყო. ამის შემ-  
დეგ გამოვიდა VI კლასის ფიზკულტურელთა  
ჯგუფი, ოლიმპიადაზე დაჯილდოვებული. თი-

თქოს ერთი პიონერი იდგას სცენაზე, ისე მო-  
ქმედებდენ ისინი. დიდი შთაბეჭდილება და-  
ტოვეს.

სალამო რომ დამთავრდა, სკოლის კოლე-  
ქტივმა მაღლობა გამოუცხადა მწერლებს.

სიხარულით დაიწყო საიუბილეო სალამო  
და სიხარულით დამთავრდა.

მწერლები, მასწავლებლები და პიონერები  
კმაყოფილნი შიდიოდნენ შინისაკენ.

ამგვარ სალამოს აღბათ რაიონებიც გამარ-  
თავენ. პიონერების საყვარელი საბავშვო მწერ-  
ლები რაიონებში წასასვლელადაც მზად არიან.

ლევ ჩადუნელი.



## სამნუხარო ამბავი

მძიმე დანაკლისია ამხ. ს. მ. კიროვის  
დაკარგვა. ეს საშინელ ამბავი ტყვიასავით  
გავარდა მთელ საბჭოთა კავშირში.

კონტრრევოლუციონერის ტყვიამ ვერა-  
გულად განგმირა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური  
პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის მდივანი და ლენინგრადის  
საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კიროვი.

ამხანავი კიროვი მოკლეს სწორედ იმი-  
ტომ, რომ იგი იყო პარტიის გამოჩენილი  
მოღვაწე, რევოლუციონერი ბოლშევიკი,  
რომელიც სძულდა კონტრრევოლუციო-  
ნურ ბურჟუაზიას.

სერგეი კიროვმა თავის თავში ჯანასახი-  
ერა ბოლშევიკ ხელმძღვანელის ყველა სა-  
უკეთესო თვისება, პროლეტარული რევო-  
ლუციონერის ყველა საუცხოვო ღირსება.

კიროვის მთელი ბრძოლა და ცხოვრება  
გამსჭვალული იყო ლენინურ-სტალი-  
ნური შეურიგებლობით ოპორტუნზიმის ყო-

ველგვარ და მცირეოდენ გამოხატულებას-  
თანაც კი. მთელ პარტიას, მთელ ჩვენ ქვე-  
ყანას ახსოვს ეს ბრძოლა, რომელსაც აწარ-  
მოებდა ამხანაგი კიროვი, ჯერ ამიერკავ-  
კასიის, ხოლო შემდეგ ლენინგრადის პარ-  
ტიული ორგანიზაციების სათავეში მდგომი,  
ტროცკიზმის წინააღმდეგ, ტროცკი-ზინო-  
ვიევის გაერთიანებული ოპოზიციის წინააღ-  
მდეგ, ყველა ანტილენინური დაჯგუფების  
წინააღმდეგ. მთელ პარტიას ახსოვს მისი  
ურყევი იდეური პრინციპულობა ლენინუ-  
რი გენერალური ხაზისათვის, ბოლშევიკური  
დროშის სიწმინდისათვის ბრძოლაში.

მძინვარე რეაქციის წლებში, სამოქალაქო  
ომის და სოციალისტური მშენებლობის  
საბრძოლო ფრონტებზე კიროვს ყველგან  
შეეძლო შეექმნა თავის გარშემო პროლეტა-  
რული დისციპლინისა და ორგანიზე-  
ბულობის ატმოსფერო, პარტიის გარშემო  
მშრომელთა მკიდრად შეკავშირების და  
მათი მალალი მობილიზებულობის პირობები,

ბრძოლისა და მშენებლობის ამოცანების  
პრაქტიკულად გადასაჭრელად. მთელი პარ-  
ტია, მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს იმ  
ვალე ორგანიზატორულ მუშაობას, რომე-  
ლიც ჩაატარა ამხანაგმა კიროვმა, რათა  
ლენინის ქალაქი გადაექცია ბოლშევიზმის  
მიუვალ ციხე-სიმაგრედ, სოციალისტური  
ინდუსტრიალიზაციის მძლავრ ბაზად.

კიროვი დაიღუბა საბრძოლო ფრონტზე.  
იგი დაიღუბა იმ დროს, როცა მთელი თა-  
ვისი ძალითა და ძლიერებით იფურჩქნება  
ახალი ბედნიერი ცხოვრება, როცა იმარჯ-  
ვებს ლენინ-სტალინის დიდი საქმე, რომ-  
ლისთვისაც ბრძოლას მან თავი შესწირა.

კიროვი განგმირა მტრის ტყვიამ, მაგრამ  
გზა, რომლითაც ის მიდიოდა, ცოცხლობს  
და შარავანდედით მოსილია. ბოლშევიკური  
ქვეყანა იმარჯვებს, მტერი ვერ დასძლევს  
ჩვენი ქვეყნის მტკიცე კარიბჭეებს.

## შახსევანელ ჰაჯის ძაღლი

(თათრული ზღაპარი)

შახსევანში ცხოვრობდა მდიდარი ჰაჯი.  
მას ჰქონდა ბევრი ოქრო-ვერცხლი და  
ჰყავდა ბევრი შინაური ცხოველი: ცხვრე-  
ბი, ძროხები, ხარები და ცხენები. შახსე-  
ვანის ფართო მინდვრებზე ძოვდა ჰაჯის  
მრავალრიცხოვანი ჯოგი. მას ჰყავდა აგრე-  
თვე გამბედავი ძაღლი. ეს ძაღლი მრავალ-  
რიცხოვანი ჯოგის სიამაყე იყო. იგი ერთ-  
გული და გამბედავი დამცველი იყო ცხვრე-  
ბისა და ფეხმარდი ცხენებისა. ჰაჯის უყვარ-  
და იგი თვალის ჩინივით.

ერთხელ უბედური დღე გათენდა.

ჰაჯიმ გაიღვიძა და გარეთ გამოვიდა. უსუ-  
ლოდ ეგდო მიწაზე მისი საყვარელი ძაღლი.

საწყალ ძაღლს ძვალი გადაეყლია,  
ძვალი კისერში გასჩხეროდა და ამის გამო  
მომკვდარიყო.

წუხს ჰაჯი...

უნუგეშო მდგომარეობაშია...

მან მწარე ცრემლებით დაიტირა თავისი  
აღალმართალი და ერთგული მეგობარი.

მაგრამ ეს არ კმარა: ჰაჯიმ გასცა ბრძა-  
ნება, რომ ძაღლის მძორი თეთრ სუდა-  
რაში გაეხვიათ და დიდი პატივისცემით  
დაემარხათ, ისე, როგორც საშატიო ადამი-  
ანი.

ბოლო მთელი სამი დღე და ღამე კითხუ-  
ლობდა ყურანს ძაღლის სამარესთან. ჰაჯი

ერთგული ძაღლის სახსოვრად შეიდი დღე აპურებდა მათხოვრებს, მორწმუნეებს, ღარიბებს, არიგებდა მოწყალებას და მოუწყო დიდი ქეღები.

ამ ამბავმა ყველაზე უფროს მოლოამდისაც მიაღწია. ძლიერ შეწუხდა წმინდა მოლა. ის იგლეჯდა თმებს და მთელი სამოსი შემოიხია.

— ვახ, როგორ შეურაცხყო წმინდა რელიგია, როგორ წაბილწა ეს წმინდა სარწმუნოება! დავიწყებულია ყურანი, დავიწყებულია უდიდესი მოლა! მან შელანძღა მაჰმადიანური სარწმუნოება, გამასხარავებულია ალახი! ო, უბედურებავ! რამდენი ცნობილი პირი გარდაიცვალა, მაგრამ ასეთი ამბავი არ დაუწყევიათ! ამ ძაღლის ღეშზე კი წაიკითხეს ყურანი, წაიკითხეს მის სამარესთან!

ეს თქვა იმამმა<sup>1)</sup>. ის შეეჯდა ცხენზე და ჰაჯისთან გაემგზავრა, რომ ღირსეული სასჯელი დაედვა სარწმუნოების შეურაცხმყოფელისათვის. ჰაჯის აცნობეს იმამის ჩამოსვლა.

ჰაჯიმ გასცა ბრძანება, რომ მისი ფარიდან გამოეყოთ ორმოცდაათი მსუქანი ცხვარი და თვითონ წავიდა. იმამთან. მივიდა

<sup>1)</sup> იმამი — მოღვდის უფროსი.

იმამთან მოწიწებით და თაყვანი სცა. ეამბოკრა მის ტანისამოსს და უთხრა:



— ოო, დიდებულო იმამი, ჩვენი წმინდა სარწმუნოების ბურჯო! დე, ჩემი მშობლები შენი ფეხთა მტვერი ვახდეს! მოისმინეთ თქვენი უმორჩილესი ყმის მწუხარება: გაიგუდა ჩემი ძაღლი ბოზდარი. ის ძალიან ერთგულად იცავდა ჩემს სიმდიდრეს, ჩემს ცხვრის ფარას. ბოზდარი რისხვა იყო მტრებისა, ის იყო კეთილი და ჭკვიანი! ის იყო ნამდვილი მაჰმადიანი. პატის სკემდა მოლასა და იმამს. სიკვდილის წინ მან დატოვა ანდერძი, რომ თქვენთვის ორმოცდაათი მსუქანი ცხვარი მოერთმიათ.

— ეხ, მას ნუ უწოდებთ ძაღლს! ის ჩათვალეთ ჩემს ძმად, ჩემს ძეგობრად! — შესძახა განცვიფრებულმა იმამმა. — მაჩვენეთ მისი სამარე. მე წავალ იქ და წავიკითხავ ყურანს მისი სულის მოსახსენებლად!

თარგმანი რუსულიდან ლ. ჭიჭინაძისა

## წინაღობით

ძალზე მიცემს სავსე გული,  
ერუანტელიც მივლის:  
იქ დახვდება გავსებული  
ჩურჩხელებით სკივრი.  
იქ დახვდება ტკბილი ბები,  
სიხარულით სავსე...  
მოუთმენლად რიჟრაჟს ველი,  
რომ დავადგე გზაზე.  
— არ გცხვინია! იცის მუდამ.  
— დამივიწყე მაინც?  
ბებოს სჯერა, სწავლა უნდა

მის პატარა რაინდს.  
მაგრამ ისე კეთილია  
და კრიალა გულის!  
გრძნობით გამოკვეთილია  
მისგან სიტყვა თქმული.  
...თითქო იქ ვარ, კერიასთან,  
სქლად ნაცარი ყრია.  
მამა ამბობს, როგორ ასცდა  
ხევი მტრების ტყვიას.  
და გვიამბობს თხრობით გართულთ  
(მურა თვალებს ნაბავს!)



კოლექტივის ცხოვრებას თუ  
 კულაკების ამბავს...  
 გარეთ თოვს და ნამქერია,  
 მაგონდება დედაც!  
 ოდნავ ჯანი გასტეხია —  
 მაინც ოჯახს ხედავს.  
 მუდამ ასე ფეხზე მდგარი  
 დაფუსფუსებს კიდეც...  
 თუმცა ზოგჯერ სუსტად არის  
 ჩვენი გადამკიდე.  
 ჩანთას ვხსნი და თან ვალაგებ.  
 ცაზე ცურავს მთვარე...  
 ძაღლის ლეკვსაც ვერ გააგდებთ  
 ამ ღამეში გარეთ!  
 გამზირებს და ქუჩის ხერხელებს  
 ფარავს თოვლის რკალი,  
 მავთულეებზე არ ისვენებს

ძვალგამხვრეტი ქარი.  
 როგორ წავალ?! თითქო ჯიბრზე,  
 ქარი წივის ქროლვით!  
 ცა კუბრიან სახით მიმზერს,  
 მოვა დიდი თოვლი.  
 ...თითქო იქ ვარ, კერიასთან,  
 სქლად ნაცარი ყრია.  
 მამა ამბობს, როგორ ასცდა,  
 ხევეი მტრების ტყვიას.  
 ძალზე მიცემს სავსე გული,  
 ჟრუანტელიც მივლის...  
 იქ დამხვდება გავსებული  
 ჩურჩხელებით სკივრი.  
 ჩანთას ვხსნი და თან ვალაგებ,  
 ცაზე ცურავს მთვარე...  
 ძაღლის ლეკვსაც ვერ გააგდებთ  
 ამ ღამეში გარეთ!

დ. შამათავა

# ქართვადები უძველეს დროში

ის იყო გიგომ დაამთავრა თავისი სამუ-  
 შაო, მიაღაგა საწერ მაგიდაზე ხელნაწერები  
 და ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ გაიღო  
 კარი, ჟრიაშულით შემოცვივდნენ ბავშვები და  
 შემოეხვიენ საყვარელ ძიას.

— აა, ძია გიგო, ახლა კი ველარ გაგვექ-  
 ცივი! რამდენი ხანია კარებთან ვდგავართ,  
 რეზო ქუჭრუტანიდან თვალს არ გაშორებ-  
 და! — ამ სიტყვებით ჩამოეკიდა ცუგრუმელა  
 დინა ყელზე გიგოს.

— რას მერჩით, ბავშვებო, რისთვის  
 მატუსალებთ, რას მოითხოვთ ჩემგან? — შეეკი-  
 თხა ბიძა ძმისწულვებს.


— გახსოვს, ძია გიგო, ქართველი ერის  
 ისტორიას გიამბობთო, რომ დაგვიბრდი, —  
 შეახსენა რეზომ და ცელქი პიონერები ალყად  
 შემოერთყვენ.

— აჰა, მომაგონდა, მომაგონდა! — წამო-  
 იძახა გიგომ. — თანახმა ვარ, გიამბობთ, მხო-  
 ლოდ ჯერ მომეხმარეთ ბუხარში ცეცხლი  
 დაფაგუტუნოთ.

ბავშვები გაიქცნენ, სწრაფად მოიტანეს  
 შეშა. ცეცხლი მალე ავიზგიხდა. მხიარულ  
 ბუხარს შემოთუსხდნენ გიგო და პიონერები,  
 რომელთა თვალებშიაც ნაკვერჩხალი ენთო.

— თქვენ კარგად იცით, ბავშვებო, რომ  
 ყოველ ერს, დიღია იგი თუ პატარა, აქვს  
 თავისი წარსული, თავისი ისტორია. ქართ-  
 ველ ხალხსაც აქვს მნიშვნელოვანი წარსული,  
 ხოლო ამ ერებს შორის ის განსხვავებაა, რომ  
 ზოგი მათგანი ადრე გამოვიდა კულტურის  
 ასპარეზზე, ზოგი კი გვიან.

როგორც ვიცი, კაცობრიობის კულტუ-  
 რის პირველი აკვანი წინა აზიაში და ეგვიპტე-  
 ში დაირწა. ეს იყო რამდენიმე ათასი წლის  
 წინათ ქრისტეს დაბადებამდე. იმ ძველ  
 კულტურულ ერებს შორის პირველი ალაგი  
 ეკავა ეგვიპტეს, აშურ-ბაბილონს, ფინიკიას  
 და ჩვენს უძველეს წინაპრებს, რომლებიც იმ  
 დროს ბინადრობდნენ მესოპოტამიასა და მცირე  
 აზიაში კარდუს, სუმერის და ხეთის სახელ-  
 წოდებით და ესაზღვრებოდნენ აღნიშნულ დიდი  
 კულტურულ ერებს.



— ძია გიგო, ეგ ყველაფერი მოხსენებულ იქნება თუ არა იმ წიგნში, რომელსაც ამზადებ სკოლების სახელმძღვანელოდ? — შეეკითხა თვალუბებარწყინებულ კობა.

— რასაკვირველია, ჩემო კარგო, და იმ წიგნს სათანადო რუკაც ექნება დართული, — უპასუხა გიგომ.

დინა უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და ანიშნა კობას, რომ კვლავ აღარ შეეწყვიტა ამბავი უმნიშვნელო შეკითხვებით.

— გიგომ ჩაახველა და განაგრძო: — აი, ამ ერებმა შექმნეს იმ უძველეს დროში ის ფრიად მნიშვნელოვანი ნივთიერი და სულაერი კულტურა, რომელიც საფუძვლად დაედო პირველად ძველს საბერძნეთსა და რომის იმპერიას, შემდეგ კი მთელ დასავლეთ ევროპას, რუსეთსა და ამერიკას.

— ძია გიგო, განა რა შექმნეს ასეთი, რომ საფუძვლად დაედო სხვა ერების განათლებას? — ველარ შეიკავა თავი და ისევ შეეკითხა ცნობისმოყვარე კობა. დანარჩენებიც დაინტერესდნენ ამ საკითხით.

— აი, ბავშვებო, რა შექმნეს: თავიანთ ქვეყნის გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობათა მეოხებით ამ ერებმა ადრე დააღწიეს თავი პირველყოფილ მდგომარეობას, შემოიღეს თანდათანობით მესაქონლეობა, ხენა-თესვა, ბაღოსნობა, ხელოსნობა, ვაჭრობა-მრეწველობა. იმ ძველ დროშივე წარმოიშვა რელიგია, დაარსდა და განვითარდა ხელოვნების დარგები, მაგ. ქანდაკება, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მუსიკა და სტიქიერება. ამ კულტურულმა ხალხებმა ააგეს უზარმაზარი შენობანი: სასახლეები, ტაძრები, პირამიდები და სხვა, რომლებმაც — ზოგმა მთლიანად და ზოგმაც ნაშთების სახით — მოატანა დღემდე. კერძოდ ქართველი ერის წინაპრებმა ისახელეს თავი

მით, რომ პირველად მათ შემოიღეს ლითონთა ხმარება, შეასწავლეს ეს ხელობა სხვა მეზობელ ერებს და მით შექმნეს სპილენძ-ბრინჯაოს და რკინა-ფოლადის დიდი პერიოდი, ამით კი უდიდესი სარგებლობა მოუტანეს მთელ კაცობრიობას. მარტო ამით არ ამოიწურება მათი მნიშვნელოვანი ღვაწლი, პირველად ისინი ჩასწვდნენ ცის მნათობთა საიდუმლოებას და წარმოშვეს დღეს ცნობილი მეცნიერება ასტრონომია, ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა, და შექმნეს გეოგრაფიული რუკები „კურბისის“ სახელწოდებით.

— ძია გიგო, ცოტახანს შეწყვიტე საუბარი, ეგ ახალი სიტყვა მინდა ჩავწერო ჩემს ლექსიკონში! — მიაძახა დინამ გიგოს. კობამ და რეზომაც მოარბენიეს უბის წიგნაკები და ჩაიწერეს ახალი სიტყვა.

— ახლა კი განაგრძე, ძია გიგო, ეგ საინტერესო საუბარი! — მიაძახეს სამთავემ და დაიკავეს თავიანთი ადგილები.

— არ იფიქროთ, ბავშვებო, — დაიწყო გიგომ, — რომ ეს ერები ცხოვრობდნენ ერთმანეთთან სიამტკბილობით და მეგობრულად, მათში არაიშვიათად ხდებოდა საშინელი შეტაკებანი, ძარცვა-რბევა, სისხლის ღვრანი და ყოველივე ამის მიზეზი იყო ისევ და ისევ ეკონომიური მდგომარეობა. თუ რა მნიშვნელობა აქვს მეტალურგიის განვითარებას კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, ამის შესახებ საუბარი გადავდოთ შემდეგისათვის, — მიმართა პიონერებს გიგომ, წამოდგა და დაიხურა ქუდი.

— ახლა კი ნახვამდის, ბავშვებო, რადგან ლექსიაზე მიგვიანდება.

სწორედ ამ დროს გაისმა დედის ძახილი: ბავშვებს იწვევდა ჩაიზე.

სიმონ ქვარიანი

## პ ი ო ნ ე რ ს

პატარა ხელი კალამს მოვკიდე.  
იქნებ მიუძღვნა პიონერს ლექსი;  
ოთხჯერ დაეხიე, მაგრამ მეხუთედ  
ნელ-ნელა შეეყვებ და შევექმეცი.  
ეგებ იფიქროთ: რას წერს ეს ბავშვი,  
რა უნდა წეროს მან მშვენიერი?  
იკითხეთ ლექსის ნაპირი მარცხნივ

და გამოგივით თქვენ პიონერი,  
რომელიც მიყვარს, მუდამ ვკითხულობ,  
ჩემს პატარა გულს ეს უხარია;  
10 წლისაა, მაგრამ ოცათასს  
წინ მიუძღვის და მიუხარია.

მე-35 შრომის სკოლის მე-4 ჯგუფის  
მოწაფე ნ. ჯანაშია.

# ინჟინერი

(დასასრული!)

აგერ, ვხედავ: ინჟინერს  
ბავშვი წამოეზარდა.  
ინჟინერმა სკოლაში  
ბავშვი თუ ვერ გაზარდა,  
რალა ინჟინერია?!

პედაგოგის შესახებ  
განსახკომში ის მიღის,  
მიღის... კარებს შეაღებს...

— თქვენ რა გსურთ?  
— პედაგოგი!  
— რა არის პედაგოგი?  
ეპ, ძმავ, იმათი ქოქი  
გაწყდა ოცი წელია.  
ინჟინერს თუ ინებებთ, —  
ის ბევრი გვყავს ძალიან!

მოსწყინდათ ინჟინერს  
ინჟინერების ცქერა,  
ინჟინერებსაც უყვარსთ  
თეატრი, ოპერა;  
წავიდენ თეატრში  
ჩვენი ინჟინერები,  
გაკვირდენ, გაოცდენ,  
აიჩნეს მხრები,  
ხედავენ: სცენაზე  
დგას ექსკავატორი,

დარბაზში ანტრაქტზე  
სეირნობს ტრაქტორი...  
ამბობენ ინჟინრები:  
„ხალხი რამ გადარია?  
ნეტავ მსახიობები  
რა იქნენ, სად არიან?“

უმსახიობოდ სცენა,  
ოპ, რა საზარელია!“  
თვალებს არ უჯერიან  
და მსახიობს ელიან.  
უთხრეს: „მოისპნენ, არ გვყავს.  
ხომ ხედავთ, არ მღერიან!  
ხილს ვაშენებთ, გზა გაგვყავს,  
ყველა ინჟინერია!“

არიან ინჟინრები,  
აყვავდა ქვეყანა,  
ააგეს ხიდები,  
ააგეს ქარხანა,  
ინჟინრებს ქება,  
ვაშა და დიდება!

მაგრამ ინჟინერებს  
მაინც სჭირდებათ  
იმის გაგება,  
თუ რა ერგებათ  
ქების გარეშე...

1) დასაწყისი იხ. ჟურ. „ბიონ.“ № 11 1984 წ.



მოანგარიშე  
და ბუჰხალტერი  
ამას სჭირია,  
მაგრამ... სად არის?  
ეძებენ, ტირიან!

— დღეს ბუჰხალტერი?!  
ხომ არ ხარ შტერი?!  
ის ინჟენერი  
შეიქნა ოცდაცამეტი წლიდან,  
ანგარიშისთვის სად მოიცილიდა?!  
დაკარგეს ინჟენერებმა  
სილინჯე, მოთმინება:  
„ეს რა ამბავია,  
ეს როგორ იქნება?!  
ვინ მისცა ვინმეს იმისი ნება,  
რომ ინჟენერები შეგვავიწროვონ,

ჩვენს წინააღმდეგ შეკრან პირია,  
მაშინ, როდესაც ასე გვჭორია  
დღეს ინჟენერები!!!“

— ამხანაგებო! ნუ შემოგვეწყრებით  
და მოგახსენებთ,  
კარგად გახსენებთ:  
მართალი არის, ჩვენს მშენებლობას  
დღეს ინჟენერები მეტად სჭირია,  
უინჟენეროდ გასაჭირია  
და არც ქვეყანა არ აშენდება,  
მაგრამ, მერწმუნეთ, არ ვამბობ  
სამტროდ,

რომ უეჭიმოდ,  
უმსახიობოდ,  
უპედაგოგოდ  
და უბუჰხალტროდ  
ჩვენი ცხოვრება გადაშენდება!  
ილია სიხარულიძე

## თვალევი საქს, გაგრამ ვერ ხელავს

განგლო ზაფხულის ცხელმა დღეებმა და  
ქვიშეთის პიონერთა ბანაკმაც მადლობა გა-  
მოუცხადა მის ირგვლივ მდებარე ლამაზ ბუ-  
ნებას.

„გვეყო დასვენება, დროა ახლა სკოლას  
მივაშუროთ“ — ფიქრობდა ყოველი ბეჯითი  
პიონერი და სამგზავროდ ემზადებოდა. მეც  
ვესტუმრე ჩემ საყვარელ სკოლას.

— შემოდგომის თბილი დღე იდგა. დილის  
8 საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი სკოლის  
მოწაფეები მხიარული სიმღერით გავცილდით  
ტფილისის განაპირა უბანს, ეგრეთწოდებულ  
ვაკეს და შევუდგეთ სოფელ წყნეთისაკენ მიმა-  
ვალ აღმართს. ექსკურსიისათვის ყველანი შე-  
იარაღებულნი ვართ: ოთარს ზურგზე ჰკიდია  
მოზრდილი აბგა, რომელშიაც ალაგია მავთუ-  
ლის ბადის დახურული ყუთები, პატარა წე-  
რაქები, მინის 2 — 3 ბოთლი, მწერების და-  
სახოცი წამლით, და სხვა წვრილმანი ნივთე-  
ბი; თინას, ნიკოს, შოთას და სხვებს მხარზე  
თოფებივით გაუღვიათ საჭერი ბაღები, ნათე-

ლასა და ნუნუს თუნუქის დახურული ვედროები  
მიაქვთ და ასე გამოწყობილნი მივდივართ კი  
არა, ნიავეით მივჭრით ახალდაბის ტყისაკენ,  
რომელიც სოფელ წყნეთის იქით მდებარეობს.

გზაში მრავალი სხვადასხვა სახის მწერი,  
გველები და ხვლიკები დავატყვევეთ მავთუ-  
ლის ბაღებში სასკოლო მუჭეუმისათვის. გა-  
ვიარეთ წყნეთი და თვალწინ გადაგვეშალა  
ტრიალი მინდვრები. შორიდან ისმის ტრა-  
ქტორის გუგუნე, რომელიც საამურად აშავებს  
კოლმეურნეობის მინდვრებს და ამზადებს სა-  
შემოდგომო ანულის. რამდენიმე მანძილის შემ-  
დეგ შორს აბიბინდა ლურჯი ხავერდი, რომე-  
ლიც ოდნავ ღელავდა. — ტბა, ტბა! — სწრა-  
ფად გაისმა მოწაფეთა ხმა და რამდენიმე  
წუთის შემდეგ ახალდაბის ტბას ჭიანჭველები-  
ვით გარს შემოვეხვიეთ.

ჩვენმა ყუინამ ტბის მცხოვრებნი შეაკრთო.  
ბაყაყები ტყაპატყუბით ეშვებოდნენ წყალში და  
თითქოს ჩვენც საბანაოდ გვეპატიებოდნენ.

— „წყნარად, ბავშვებო! — გაისმა მასწავლებლის ხმა: იყურეთ, მოიმარჯვეთ ბადებები და ნაპირებს დააკვირდით.

ჩვენ სული გავნაბეთ. არ გასულა ხუთი წუთი, და თენგიზმა ელვის სისწრაფით წყალში რალაცას მოსდო საჭერი ბადე და ნაპირისაკენ ამოიტაცა.

— მასწავლებელო! სასოწარკვეთილებით ყვიროდა თენგიზი, — რალაც დავიჭირე, მიშველეთ, მიშველეთ!

ყველანი მისკენ გაექცანეთ. გაგზნებით ბადე და ვნახეთ უცნაური რამ ცხოველი, ტანად ხელიკზე პატარა, ფერად მოშავო, მუცელი ყვითელი და ვეფხვივით დაჭრელებული, ოთხი პატარა ფეხი, მოქნილი ბრტყელი კუდი და პატარა თვალები.

— რა ლამაზია! — თქვა გაიმ და ხელისგულზე დაისვა.

ცხოველმა სწრაფად მოიმარჯვა ფეხები და წასვლა დააპირა, მაგრამ საცოდავი ტყვე ჩვენს ჯარს სად გაექცეოდა.

— ეგ ცხოველი ვაგლახა არის, ცხოვრობს ტბებსა და ჭაობებში, მეტად საინტერესოა ზოგიერთი თვისებებით, რაშიაც თქვენ თვითონ დარწმუნდებით. ბაყაყის მონაფესავე ცხოველია და მისგან უმთავრესად კუდით განსხვავდება გაგვიმარტა მასწავლებელმა, და ჩვენი ტყვე თუნუქის ვედროში ჩავსვით.

ასევე ბადეებით დავიჭირეთ კიდევ სამი ვაგლახა, ტბაშივე ვიპოვეთ სხვადასხვა სახის მცენარეები, რომლებიც მხოლოდ წყალში ცხოვრობენ. მუშაობის შემდეგ გემრიელად ვისაუზბეთ, დავისვენეთ და საღამოს 5 საათზე უკვე ტფილისში ვიყავით.

მეორე დღეს გათენებას ყოველი ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა. დილა ადრიან შეეგროვდით სკოლაში. შუშის ქილაში 5 — 6 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩავყარეთ გარეცხილი ქვიშა, ჩავასხით სუფთა წყალი, შიგ ჩავრგეთ ახალ-

დაბის ტბიდან მოტანილი წყლის მცენარეები და ჩავსხით ჩვენი საყვარელი სტუმრები ვაგლახები. ამ ცხოველებს მართლაც რომ სწავლახა ხო აქვთ. თვალები აქვთ და კი ვერაფერს ხედავენ:

საკვებს იჭერენ მხოლოდ მაშინ, თუ ის პირთან ახლოს იქნება ან თუ სადმე თევზი ან მატლი ინძრევა, ის ამას წყლის რხევით იგებს და კვალდაკვალ მისდევს. მისი საყვარელი საკვები გამბუზიები, ჭიაყელები და სხვანი ორ ნაბიჯზეც რომ იყენენ, ვაგლახა: კი შიმშილით კვდებოდეს, ვერ დაინახავს, თუ შემთხვევით მათ პირით არ დაეტაკა.

ჩვენ ვაგლახებს კი კარგად გვეგბავთ: პატარა ჯოხზე გაგამაგრებთ ჭიაყელას, რომელსაც მიეუახლოვებთ და პირთან ოდნავ მოფუცაქუნებთ. ამ დროს ვაგლახა ვეშაპივით დააღებს თავის ფართო პირს და მთელ ჭიაყელას კუჭისაკენ გაისტუმრებს.

მეტად ლამაზად ცურავენ ვაგლახები წყალში. ჩვენ მთელი საათობით ვადევნებთ მათ თვალს.

გავიდა თითქმის ერთი ოცე, რაც ვაგლახები ჩვენთან ცხოვრობენ. ახლა კი მოზინაურდენ ჩვენი ტყვეები, საკვებს უკვე კარგათ შექცევიან. დროა თქვენ მათზე ერთი ცდა ჩაატაროთ, — გვითხრა მასწავლებელმა და ხელში მაკრატელი მოგვცა.

ერთ ვაგლახას ძირში მოვკვეთეთ წინა ფეხი, მეორეს შიგ ძირში მოვაჭერით კუდი, მესამეს ამოვკვეთეთ მარჯვენა თვალის კაკალი.

— მეოთხე ვაგლახას ხელს ნუ ახლებთ, რათა დაკვირვების დროს ეს დამახინჯებულები მაგას შეადაროთ ხოლმე, — თქვა მასწავლებელმა. ჩაიწერეთ რიცხვი, თუ როდის ჩაატარეთ ცდა. ყოველდღე დააკვირდით ვაგლახებს და თუ რაიმე საკვირველი შენიშნოთ, მეც მიეჩვენეთ.

ტფ. აგრობიოსადგურთან არსებულ ნორჩ ნატურალისტთა რის ვრი **ლოუბა თოხვაძე**



# თხის საჩივარი

თქმულება იმაზე, თუ რატომ აქვს თხას მოკლე კული  
(არაკი)

ერთხელ ერთი ბეკეა  
წვერებისა ცანცარით  
წარდგა შემოქმედის წინ  
სიტყვით მკვეთრით და ჩქარით.  
და შესჩივლა: „განგებავ,  
ქვეყნად თუ გამაჩინე,  
კული შესაფერისი  
რატომ არ შემარჩინე?  
ყველა რაც მოგიცია —  
ჩემი შესაფერია:  
წვერი დიაკვნისა მაქვს,  
კბილი მაკრატელია;  
წყვილი შუბი რვალისა  
ცამდის ამიშვერია,  
თვალთა სილამაზე ხომ  
ძნელად ასაწერია;  
მუხლებისა სიმარდეს  
მიქებს მთელი ქვეყანა,  
სიტყვის სიმკვერეშიაც

განთქმული ვარ ყველგანა.  
ამდენ მადლსა მარილი  
რისთვის მიმოკელიო:  
ჩემი კული რად მოკლობს,  
როცა სხვებს აქვს გრძელიო?“  
შემოქმედმა ბეკეას  
უბასუბა ესაო:  
„კული გრძელი, ცანცარავ,  
მისთვის არ მოგეცაო, —  
რომ შენი ხასიათი  
არ ასვენებს კულსაო:  
წარამარა ქიცინით  
საქმეს იქმდი ცულსაო:  
გრძელი კულით, ცუნცრუკავ,  
ქკუათხელო ქეცაო,  
შენ ან თავს მოიკლავდი  
ან დახოცდი სხვებსაო“.

გ. ლომთათიძე



# მარი ნაწყვეტი კომედიან „ჩვენი გოგო“

## მთაში

მღერის ბუნება. ფრინველთ ლაშქარი  
 გულს რა სიმღერებს არ მოანდომებს!  
 რომელი გნებავთ? ყველა აქ არი:  
 ბულბული, შაში თუ იაღონი.  
 არწივი დაქრის ჰაერში ლალად,  
 ბუჩქში ხოხობი მტერს ემალება.  
 მიმინოს, კაკაბს უამრავს ნახავთ...  
 და თუ გექნებათ დრო, მოცალემა,—  
 მთის ნახვა ცუდი საქმე როდია!  
 ვეწვიოთ ახლოს დაბურულ ტყეებს,  
 გავიცნოთ ჩვენ მთის ბიოლოგია.  
 ხედავთ ამ მალალ თვალუწვდენ ხეებს?  
 ეს ნაძვნარია — ზურმუხტი მარად;  
 იმის მწვერვალებს თავზე ევლება  
 ნისლი და ზეცის ლურჯი კამარა.  
 მაგრამ ამ ტყეში საშინელება,  
 შიში, კანკალი ძალზე ხშირია;  
 განა ყველასთვის? იმას რა უშავს,  
 ვინც რომ მამაცი მონადირეა!  
 აი გამოვა, ბლავილს აუშვებს  
 დათვი საშიში, თვალგებრიალა,  
 თათს მოიმარჯვებს და პირს დააფრენს,  
 იმის დამნახველს რა გადაარჩენს —  
 ვის დაჰკრა, რომ არ ვატილა!  
 მაგრამ არც ისე გულადი არი.  
 თუ არ ედავე — არ იცის დავა,  
 ხოლო თუ ჰკადრე რამ საწყინარი,  
 მოჰკალ: უსისხლოდ მაინც არ წავა.  
 ყველაზე უფრო ბორბოტი, ავი,  
 კაცის მოქიშპე და შემმუსრავი, —  
 ტყის ბინადარად ითვლება მგელი.  
 მან შეგიბრალოს? ამაოდ ელი.  
 მისგან ბევრს ახსოვს გლოვა და ზარი,  
 ყელგამოჭრილი ძროხა და ცხვარი.  
 აბა მითხარი: ის რომელია,

რომ ძრომილობს ჩუმად, ფარულად,  
 ყურაცქვეტილი, კუდაგრძელია?  
 ხშირად სოფელშიც შემოპარულა,  
 სტუმრად სწვევია ბატს და ვარიას,  
 არ წუნობს მამალს, კრუხს და წიწილებს...  
 ო, რა ოინი არ უხმარია,  
 თოჯი, ხაფანგი რომ აიცილოს!  
 მაგრამ ონავარ, მტაცებელთ შორის  
 არის თვინიერ ოჯახის წევრიც,  
 ყველას სურს იმას შემოჰკრას ტორი,  
 თვალი აქვს უნდო და აღმაცერი.  
 შევილია... კობტა, მალაღფეხება,  
 ო, ნაზი, მშვიდი, მშვენიება მთელი;  
 იმის ცხოვრებას რაც შეეხება —  
 შიშია მხოლოდ და ჟრუანტელი.  
 მთის სიამაყეს — ვაჭებდეთ ირემს,  
 ყელმოღერებულს, კობტარქებიანს,  
 ვუსაყვედუროთ იმ მონადირეს,  
 მისი მოკვლა თუ წილად რგებია.  
 იცნობთ თქვენ ჯამბაზს,  
 კლდიდან კლდეზე რომ  
 დაფრინავს როგორც ორბი ფრთამალი,  
 შავი ნაპრალი საბედისწერო  
 თითქოს ამისთვის იყოს ტრამალი?  
 ეს ხომ რჩეული ჩვენი ჯიხვია  
 მწვერვალებიდან ბარის მზვერავი...  
 რა ქნას, სამყოფად კლდე აირჩია,  
 სადაც იოლად სწვდება ვერაფინ.  
 სასმელადა აქვს წყარო ან კარა,  
 საკვებად... მწვანე მოლს ეფერება;  
 სამხერად—შორი, უცნობი მარად  
 უზარმაზარი ქვეყნიერება.  
 მობერავს სიო. ფოთოლს შრიალი  
 მოსწყდება და მის გულზე ეშვება,  
 ირგვლივ მიდამოს თვალებს შეავლებს,  
 კლდე ჩაიხუტებს სანუგეშებლად.


დაბლა ჩამოხვალ — ისევ ტყეა და  
ველურ ყვავილით ნაქარგი ველი,  
ნაირ ხეების მთელი პლეადა,  
ხეები ზორბა და საკვირველი:

### პატარა მესხვარე

ვაზაფხულია. ბუჩქნარს და ბალახს  
შვენიის ნიადაგ ყვავილი, ცვარი:  
ხეები დილის ნისლს დაუშალავს,  
ხეებს აშფოთებს ხმა უეცარი:  
გველუშაბივით მოდგა მუქარით  
დასავლეთიდან შავი ღრუბელი.  
ო, გოგი, ქედი თუ მოუხარე —  
შიში უნდოა და დამღუპველი.  
ღრუბელს ღრუბელი, ელვებს ელვები  
მოჰყვა, დაფარა ზეცის თაღები.  
აიესო ავღრით, საშინელებით  
გზა, ხეები და იალაღები.  
მარტოა გოგი. ავდართან შრძოლით  
სასტიკ გამოცდას პირველად იჭერს;  
გრიგალი მთიდან გამოჩნაქროლი  
ებრძვის მეცხვარის მარდულ ნაბიჯებს.  
უხმობს ხეგვალმა მწყემსების კარვებს,  
მაგრამ პასუხად მთები გმინავენ;  
ასწლოვან მუხას თავს შეაფარებს  
და ცხვარსაც იქვე დააბინავენს.  
წვიმა კი ისევ ავობს, ხელდება,  
გიჟდება ქარი სეტყვანარევი;  
იელვებს, დატექს და კვლავ ბნელდება  
მიწა — აღვსილი ნიაღვარებით.  
გახედავ ირგვლივ: მხოლოდ ბურია  
ალაგ ტყეისფერ კლდეთა ქიმეებით,  
მთებს ღრუბლის ჩალა მოუხურია  
და ჩანან როგორც ნეგატივები.  
ტყიდან მოისმის ღმუილი მხეცთა,  
შიში ჩამოწვა მღვრიე ტბორებად...  
ძირს დაშვებული კვიპატი ზეცა  
მომღურავ მიწას ეამბორება.

გამოიდარა. ჩადგა ქარი და  
იღვიძებს მიწა ზანტი ზმორებით.  
მზე მოწყდა უცებ ცის ქანარიდან  
და მთებზე იწყო ჩამოგორება.  
ესროლა სხივი ნაწვიმარ ქედებს,  
ტყემაც მომართა თავის ფანდური  
და შეარიგა ლამაზ იმედებს  
დედამიწა და ცა დანამღური.  
ქარბი ნიაღვრით და გაცოფებით  
გაღმა ხეობა ისევ ბლაოდა,  
მხოლოდ გამოღმა ველ-ტაფობები  
ყვაოდა წარმტაც სანახაობად.  
ისევ მოედვა იალაღს ჯოგი,  
კვლავ სალამური აღხენს გარემოს;  
სერზე დგას ჩვენი პატარა გოგი  
ომგადახდრილი კომუნარივით  
და გადაჰყურებს ლამაზ ოცნებით  
ნისლში გახვეულ ცხვარს და მიდამოს;  
სახე ღიმილობს გასხივოსნებით,  
თითქოს მზეს ისერის თვალებიდანო.  
იგონებს წარსულს ბოღმიან დღეებს  
და მომავლის ბილიკებს ეძებს;  
ფიქრი ევლება ციკაბო კლდეებს,  
ხან კი საამოდ ისვენებს მზეზე.  
ხედავს გადაშლილ ქვეყნებს უამრავს, —  
წიგნში, რუკაზე რომ უსწავლია;  
ზღვებს, მდინარეებს გადაუარა,  
ქალაქებს მზერა ვადალია.  
წარმოიდგინა: თითქოს ქალაქად  
სკოლისკენ ხტუნვა-თამაშით გარბის.  
მეტ სიხარულით სუნთქვა განაბა  
და გაღიმებით გაშალა წარბი.  
ამ ოცნებაში გართულ მეცხვარეს  
გადაავიწყდა თავისი ფარა...  
ცხვარი კი ხევის მეორე მხარეს  
ნისლიან ფარდებს ამოფარა.  
გამოხტა უცებ მსუნაგი მგელი  
მშიერი, წუწკი, ავი, ღრენია —  
ქორფა ქედლიას გამოსქრა ყელი  
და მყისვე ტყისკენ გაარბენია.

არნო ონელი



# სოფელი

ბუქი დგას, კორიანტელი,  
ძალს არ გააგდებ გარეთ...  
სივრცეში თოვლის ფანტელებს  
კარნავალი აქვთ მწარე.

ზეავი ჩამოწვა ხარდნალში,  
ფერდობზე ჩამომწყდარი,  
სოფელს გორაკზე ვადაშლილს  
ფრთებს უფართხუნებს ქაოი.

თოვლში გასუდრულ ვენახებს  
ფარავთ ფიფქების მძივი.  
ერთი თვის წინათ გენახათ  
აქ შრომა კოლექტივის:

ვაზებს გარს დასტრიალებდენ,  
სოფელი იყო რთველში,  
ხალისით მიაქანებდენ  
ჯინ-გოდრებს საწნახელში.

საწნახელიდან ბარაქა  
ტკბილად დიოდა თავქვე,  
ზოგს აგზავნიდენ ქალაქად,  
ზოგს იტოვებდენ აქვე.

ახლა კი თოვლის ფანტელებს  
მოაწიაწებს ქარი,

ბუქი დგას, კორიანტელი,  
ძალს არ გააგდებ გარეთ.

მაგრამ, ჩუ, ეს რა ხმებია,  
სოფელს რომ შუა კვეთავს?!  
ქარბუქს ვინ შეჰვებებია,  
ვინ იქნებიან ნეტავ?!

ამოიკენესა გზაწვრილზე.  
სალამოს ბინდი წვება...  
კრება ჰქონიათ ყმაწვილებს,  
კომკავშირელთა კრება.

ახლა კი მაღალბგერიან  
სივრცეს მათი ხმა ავსებს,  
ხალისით მოიმღერიან,  
მოიმღერიან ასე:

„ზამთარო, კუნთი გაქაჟე,  
გაზაფხულს ველით მალე,\*  
ჩვენს კოლექტიველ ვაუქაცებს  
მზე უყვართ გულმზურვალე.

ზამთარმა ვით მოვადუნოს,  
შენ შრომის ვრცელი ზღვა ხარ,  
სოფელო, გულგაბადრულო,  
გოლიათივით დეახარ.

გ. კალანდაძე.

# გ ა ვ უ ვ ს

შენ ლამაზი ყვავილი ხარ,  
 თოვლიანი მთის ყვავილი,  
 შენ ია ხარ გაზაფხულზე  
 ადრეულად გადაშლილი!  
 შენ ლალი ტყის ირემი ხარ  
 მთიდან ბარად ჩამოსული,  
 შენ წყარო ხარ, სუფთა წყარო,  
 სალი კლდიდან გადმოსული,

შენ რხევა ხარ მზისა სხივის,  
 სიამაყე წვანე მთისა,  
 შენ სუნთქვა ხარ გაზაფხულის  
 და გული კი სიცოცხლისა!  
 შენ მჩქეფარე ნაკადი ხარ  
 იმ ლამაზი მწვანე ტყისა,  
 უმანკო ხარ, ვით ღრუბელი  
 ლაქვარდოვან კამკამ ცისა!

ქეთო მღვიმელი.

# გ ა მ ო ზ ა ნ ა

მუნჯია, მაგრამ ვერ მოღლით  
 ლამაზი ლაპარაკითა.  
 უფეხოა და სულ დარბის,  
 ბინაა მისი მაგიდა.

ტყუილები სძულს საშინლად  
 და ეჯავრება კეხნაცა,  
 მუდამ თქვენს შორის ტრიალებს,  
 ხელში გიჭირავთ ახლაცა.

კ. რატიშვილი

# ბ ა ვ უ ვ თ ა უ ნ ე ო ო მ ე ლ ე ბ ა

## მ ა რ წ უ ვ ზ ე

### I

მშვენიერი მზიანი დილა გათენდა. და-  
 ცვარული ბალახებიწელში სწორდებოდნენ.  
 და თავაწვეით ეგებებოდნენ მზის მხურვალე  
 სხივებს. მათ ფოთლებზე ღამით დავარდნი-  
 ლი წვიმის ჟუჟუნა წვეთები თვალის მო-  
 მკრელად ბრჭვილებდა.

მთის ნიაფი ოდნავ ქროდა, აქეთ-იქით  
 არწევდა ლამაზ ყვავილებს, უღიტინებდა,  
 ეალერსებოდა. ყვავილებიც გვირგვინოსან  
 თავებს კეკლუტად ძირს ხრიდნენ, ნიაფი კი  
 ისევ ეალერსებოდა მთის მშვენიერ ბუნებას.

მთები ნისლეებში გახვეულიყვნენ და ზღაპ-  
 რულ დევებივით ცაში აზიდულნი ამაყი  
 მხერით თავს დასცქეროდნენ ათასფრად აყუ-  
 ვებულ მდელოს.

ავარაკ ბაკურიანის სიამაყე, გოროზი  
 კოხტავორა, ნისლიან ამინდში ადამიანს  
 მთელი თავისი სიძლიერით ეხატებოდა.

ნისლებში გახვეული მისი წვერი სულ  
 არ მოჩანს, ხოლო ნისლების გაფანტვის  
 შემდეგ თვალწინ აგესვეტება უზარმაზარი  
 აქოჩრილი გორა. ირგვლივ წარმტაცი სურა-  
 თია. დგახარ ამ წალკოტში და სასიამოვნო  
 ფიქრთა ტალღებისაგან თავი ვერ დავიხწყე-  
 ვია. ირგვლივ ჟღერს ტულებენ ათასნაირი  
 ფრინველები, ათასნაირი სტვენა-გალობით  
 ეგებებიან დილას, მზის ბრწყინვალე სხივებს.  
 ხანდახან ჰაერში ნავარდობენ და მათი გა-  
 ლობის ხმა ცის კამარაში ვრცელდება.

ვინ არ დათვრება ამ ედემის ბაღის  
შშენიერებით?!

დიან, ამისთანა ადგილებით განთქმულია  
საქართველო!

ლამაზია და თვალწამრტაცი ბაკურიანის  
ბუნება!

## II

სოფელი ახმაურდა. ძაღლები აყეფდნენ.  
ფრინველთა სისამოვნო ჭიკჭიკმა არემარე  
გამოაფხიზლა. დედაკაცები ძროხების მო-  
წველას ეჩქარებდნენ. ჩხრიალით ჩადის ჭურ-  
ჭელში რძე. ძროხა თავის ხბოს ეალერსება  
და შუბლზე ენას უსვამს. მალე სოფლის  
შარაზე მტვერი დადგა.

მშვიერი საქონელი მიისწრაფის საბალა-  
ხოსკენ, რომ ჯიქნები გაივსონ და თავის  
პატრონს უხვად მიაწოდონ რძე.

მწყემსი ბიჭები სტვენა-შეძახილით აყრუ-  
ებენ სოფელს. მალე საქონლის ჯოგი  
თვალს მოეფარა.

შინაური ფრინველები კრიახით გაიშალ-  
ნენ საკვების საძებრად. ზოგი ნეხვს მისდ-  
გომია, ქეჩავს, ფეხებით კორიანტელს აყე-  
ნებს და სხვებსაც იწვევს. აგერ თავმომწონე  
მამალს სადღაც პურის მარცვალი უბოვია  
და ამაყად, ფახიფუხით ეპატიჟება ქათმებს.  
ქათმებიც თავპირისმტვრევით მიისწრაფიან  
მამლისკენ და ერთმანეთს ეცილებიან.

— დედილო, დღეს ბიჭები მარწყვზე  
მივდივართ, გამიშვებ? — შეეკითხა პატარა  
გოგი დედას, როდესაც თუნგით წყალი  
მოარბენია და მოაჯირზე დადგა.

— წადი, შვილო, წადი, არ დაგიშლი,  
ოღონდ ქათმებს ცოტა საკენკი დაუყარე.

— კარგი, დედილო, ახლავე! — წამო-  
იძახა გოგმ, ეზოში ჩავიდა და მალე მისი  
აც გაისმა:

— ჯრრრ! ჯრრრ! წიწილებო, მოდიო,  
მოდიო! — ყვიროდა გოგი და ქათმებს  
ეპატიჟებოდა. შემდეგ აივანზე ავიდა,  
სალათს ხელი წამოაგლო და დედას შე-  
სძახა:

— დედილო, მივდივარ!  
სოსანას წიფლისაკენ გაიქცა.

— ფრთხილად იყავი, შვილოოო! — და-  
ადევნა დარიგება დედამ, მაგრამ გოგის  
აღარ გაუგონია.

— რაკი კობტაგორის ძირში წავალთ,  
ბარემ სოკოსაც მოვაგროვებ, მით უმეტეს,  
რამდენიმე დღის წინათ ისეთი ყუჟუნა წვიმა  
იყო, რომ სულ სოკოებით იქნება იქაურო-  
ბა სავსე, — ფიქრობდა გოგი და პატარა  
ფეხებს გაჩქარებული მიაბიჯებდა.

— ოოო! გოგის გაუმარჯოს, გოგის!  
დაიძახეს ბიჭებმა, როდესაც მომავალი გო-  
გი დაინახეს.

— ბიჭო, გოგი, რად დაიგვიანე? ხომ  
ხედავ, უკვე ყველა შევიკრიბეთ? — შეეკით-  
ხა სერგო.

— კარგი, ერთი, ახლა ზომ აქა ვარ,  
წავიდეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — წამოიძახეს  
აქეთ-იქიდან და სახემხიარულმა ბავშვებმა  
ჩქარი ნაბიჯით გასწიეს მარწყვზე.

## III

ბავშვების ყიჟინა, ხუმრობა და სიცილი  
ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობას უერთდებოდა  
და ცის უსაზღვრო თაღებში იკარგებოდა.

ტყის სამაურმა სიგრილემ ბავშვები გაამ-  
ხიარულა, ახალმოზარდ ფიჭე-ნაძენართა  
სუნმა მათი გონება გააბრუა. დილის ცელქი  
ნიაფი სისინით დაძვრებოდა ხეებში. ამაყად  
აზიდული ნაძვები თითქოს ცას სვეტებად  
შესდგომიანო.

ლეოპოლდ ხეჩია

(დასასრული იქნება.)

## „პიონერის“ 10 წლის თავს

### I

შემოდგომის დღეა. მზემ თავისი სუსტი სხივები გადააბნია გაყვითლებულ მიდამოს. ნელი ქარი დასეირნობს და ყვითელ ფოთლებს ნელი რხევით ატრიალებს კრიალა პაერში.

სკოლის ეზოში მოწაფეების ჟრიამული გაისმის, ხტუნვა, სირბილი, მხიარული კისკისი და შეძახება უერთდება ბუნების სიხალისეს მხოლოდ ათიოდე მოწაფე განშორებია ამ საერთო სიმხიარულეს და გატაცებით მსჯელობენ.

— მალე „პიონერის“ ათი წლის თავი იქნება, ამხანაგებო! — მიმართა ამხანაგებს როსტომმა. ჩვენც მონაწილეობა უნდა მივიღოთ, უნდა აღვნიშნოთ ეს დიადი დღე არ უნდა ჩამოვრჩეთ სხვა მეგობრებს.

— მართალია, ამხანაგებო! საჭიროა ამ ბრწყინვალე დღის აღნიშვნა და წინასწარ უნდა მოვილაპარაკოთ, — შეუერთა როსტომის მოწოდებას თავისი ხმა ჟუჟუნამ.

### II

ჩქარი ნაბიჯით მიეშურება როსტომი ჟუჟუნასთან, თვლებში ნაპერწკლები უკრთის. მათ შეკრიბეს ამხანაგები და თავმჯდომარედ ვასიკო ამოირჩიეს, მდივნად ნათელა.

მსჯელობის შემდეგ გამოიტანეს დადგენილება.

მოხსენების გაკეთება ლეოს დაავალეს ის შარშან მშობელთა წრემ დააჯილდოვა როგორც საუკეთესო მოწაფე, ლექსების წარმოთქმა კი ვენერასა და ლეილას.

შეარჩიეს პიესა. როლები გაინაწილეს. სიამით დაიშალნენ პატარები სამხიარული დღის მოლოდინით.

### III

დარბაზი საზეიმოდაა მომზადებული. სცენის შუა ადგილას მაგიდაზე ლენინის ბიუსტია. კედელზე სხვადასხვა ბელადების სურათებია დაკიდებული. აქა-იქ პლაკატებია შესაფერი ლოზუნგებით. საზეიმო დღის მონაწილე პიონერები გაბრწყინვებული თვალებით სცენას შემორტყმიან.

თავმჯომარის ზარის წკრიალზე მაგიდასთან წარდგა ლეო. მის სახეზე მღელღარებაა აღბეჭდილი.

პატარების გაუფართოებელი თვალები ლეოსაკენ იყო მიპყრობილი. ლეომ დასძლია მღელღარება და მტკიცე ხმით დაიწყო. მან კარგახანს ილაპარაკა. ბოლოს ლეომ დაამთავრა მოხსენება. სიხარულით ფრთებშესხმული პიონერები ჟრიამულით გაემართენ სახლებისაკენ.

ელისო აბრამიშვილი



# შურნალ „პიონერის“ 1934 წ. ყველა ნომრების შინაარსი

1. აბაშიძე ირაკლი: — დამწყებ მწერალთა საყურადღებოდ (წერილი) № 4.

2. აბაშიძე გრიგოლი: — წითელი ლაშქრის აღლუმი (ლექსი) № 2.

3. აგურაშვილი ი: — სირმახანი (მოთხრობა) № 1.

4. ანლანი ა) „6 მილიონი ავტორი“ მონარდ მაყურებელთა თეატრში (რეცენზია), № 1, ბ) სიხარულისა და სიცილის სპექტაკლი (წერილი № 7-8. გ) მხატვარი შალვა ძნელაძე (წერილი № 10, დ) ლევ. ასათიანის წიგნი „შავი ქვის ამბავი“ ა) ქ. საყ. ისტ. № 12.

5. აკოპოვი არმენ: — ა) დამკვრელი გოგი (ლექსი) № 7.8.

6. ასათიანი ლ: — პიონერული (ლექსი) № 9

7. აბულიძე სავლე: — შიო მღვიმელს (ლექსი) № 1.

8. ბობოხიძე კალე: ა) ზამთრის ფიქრები (ლექსი) № 1, ბ) მოგონება თებერვალზე (ლექსი) № 2.

9. ბერიკაშვილი დავით: ა) ტფილისი (ლექსი) № 9.

10. ბუჭურაულიც: ა) ძია შიოს (ლექსი) № 5-6. ბ) ოქტომბერი № 12.

11. გოცირიძე აკაკი: — ა) ნიკას ბოჩოლა (მოთხრობა) № 2, ბ) ბახო (მოთხრობა) № 4. გ) არც ჩვენ ვარ ბებრუხანები № 12.

12. გოგია ილ.: — ა) გამოცანა № 2, ბ) რეზუსები № 5-6, გ) წვეტიანი ჯადოქარი № 7-8

13. გაბაშვილი ეკატერინე: — ა) ბავშვობის მოგონება. № 12.

14. გველესიანი ან.: — ა) საგაზაფხულო თესვა და ნორჩი პიონერები (წერილი) № 3.

15. დამსწრე: ა) გარდაიცვალა ძია შიო-№ 1

16. ებრაღიძე მიხეილი: ა) ნორჩი მათემატიკოსები (ნარკვევი) № 2, ბ) გაზაფხული (ლექსი) — № 4, გ) ათი წლისაა — № 12

გ) გმირი ბავშვი (პოემა) № 5-6, 7-8, 9, დ) ბანკი (ლექსი) № 7-8, ე) მესამე მოდემის ზეიმი (ლექსი) № 10,

17. ერთაშინდელის.: — ა) მეჩვიდმეტე (ლექსი) № 2, ბ) ჩემი ბარათი „პიონერს“ № 12

18. თაბუკაშვილი შალვა: — ა) 6 კილ სიმალღეზე (მოთხრობა) № 1, ბ) გეოლოგიური რუკა (მოთხრობა) № 2, გ) საბჭოთა სასახლე № 5-6, დ) მეტროპოლიტენი — № 5-6 ე) რობინ ზონ კრუზო (მოთხ.) № 10,

თამარიშვილი პ.: — ა) შვიდ გმირს (ლექსი) და სამაისო (ლექსი) № 5-6.

თევზაძე კლ.: — ა) ამოცანები № 1, ბ) ამოცანა № 2, გ) გამოცანა № 5-6

21. იოსელიანი. შ.: ა) ხუსეინა ბათომში (ლექსი) № 2,

22. კაჭანიძე გიორგი ა) ზამთარი (ლექსი) შიოს ხსოვნას (ლექსი) № 1, ბ) ყარაულები (მოთხრობა) № 3, გ) ტრაქტორი მინდვრად (ლექსი) № 4, დ) მაისი (ლექსი). მერცხალი მოფრინდა (ლექსი) № 5-6, ე) მამა გვინახულებს (ლექსი), ნადვის ტყეებში (ლექსი) 7-8, ვ) პატარა საყვედური (ლექსი) № 9, ზ) წყალდიდობა (ლექსი) № 10 თ) კარგი მოსავალი (ლექსი) 11, ქუჩის ჭადრები № 12.

23. კალანდაძე გიორგი: ა) ახალწლის ღამით (ლექსი) № 1, ბ) საგაზაფხულო (ლექსი) № 5-6, გ) ივლისის მზეზე (ლექსი) № 7-8, სექტემბრის ღამე (ლექსი) № 11, ე) მთიდან მოდიან (ლექსი) № 11, ვ) შემოდგომის შემდეგ № 12

24. კაუშაძე ა. ა) წითელი ზოლები (მოთხრობა) № 1, ბ) პატარა შეფი (ლექსი) № 4.

კუჭავა შალვა: — ა) მისაბაძი (ლექსი) № 3.

26. ლომთათიძე ს.: — ა) რებუსი № 1,

27. ლომთათიძე გ.: — ა) გამოცანები და დათვის ქუჩა (ლექსი) № 1. ბ) ტურის ერთგულება (არაკი) № 11.

28. ლორია პ.: — ა) ალიონზე (მოთხრობა) № 3 ბ) აიშე (მოთხრობა) № 4, № 5-6, № 9 და № 10.

29. ლოპატიანი პ.: — ა) შეიარაღებული თვალის (მოთხრობა) № 3 და № 4. (თარგმანი შ. თაბუკაშვილისა).

30. ლონგველო; ა) ჰაიავატას სიმღერა (პოემა) № 10 (თარგმანი მ. პატარიძისა და გ. გაჩეჩილაძისა).

31. მღვიელი შიო: — ა) პატარა ინჟინრები (ლექსი) № 1.

32. მღვიმელი ქეთო: ა) ლექსი № 7-8,

33. მარუაშვილი ლევან: — ა) ნარკვევები თაჯიკისტანის ცხოვრებიდან № 2, ბ) ჩვენი ქვეყნის კუთხეები № 4. გ) რა არის ბაქტერიოფაგი № 9.


34. მანჯგალაძე გ.: ა) ახალი ციმიბირი № 7-8 ბ) კოშკის უბანში № 9, მ) ფერუჩიო № 12.

35. მიმქრალი: — ა) პირველი გაფრენა (გადმოკეთებული) № 9, ბ) შემოდგომა ტფილისის ბაზარზე (ლექსი) № 11. თავიდა სოფლად № 12.

36. მიქელაძე მარია: — ა) როგორ ვახდა ავად პიონერი შავა (ლექსი) და ალბომი (მოთხ.) № 9 და № 10

37. მკითხველი: ა) ახალი წიგნები № 7-8

38. მ. დ.: — ა) აკაკი წერეთელი (წერილი) № 2.



- 39. ნარ — დოსი: — ა) რა მოხდა, როცა საშაქრეში ორი ნატეხი შაქარი არ აღმოჩნდა (მოთხრობა) № 2 და № 3 (თარგ. ი. გრიშაშვილისა).
- 40. ნაკაშიძე ნინო: — ა) ასოთამწყობი № 5-6, ბ) ტანგრაშები მ) № 7-8 ჩქარა სათქმელები № 10. დ) მოგონება და სიხარული № 12.
- 41. ნავთლულელი შ: — ა) ბავშვთა ბავის მასწავლებელთა სიმღერა № 9.
- 42. ინელი არნო: — ა) ინდუსტრიის გაზაფხული (ლექსი) და მინდვრად (მოთხ.) № 4, მაისი (ლექსი) № 5-6, ბ) ოქტომბერი (პოემა) № 11, დ) „პიონ“ 10 თავს № 12.
- 43. პოლუმორდვინდვი ელიზბარ: — ა) ჯილდა (მოთხ.) № 11.
- 44. უღენტი სანდრო: — ა) ახალ სახლთან (ლექსი) № 10, ბ) უსინათლო ბებია (ლექსი) № 11.
- რეხვიაშვილი აკაკი: კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი № 1. ბ) საქ. საბჭოთახელისუფლების დამყ. მე-13 წ. №2, გ) ძლევა-მოსილი წითელი არმიის დღე და №2, გ) პარიზი წლის წინათ №3, დ) 1-ლი მაისი №5-6 ე) დ. ი. მენდელეევი №3, ვ) როგორ აღმოაჩინეს ჩ. დიდი გზა (თარგ.) №9 ზ) 1917 წლის ოქტომბერი №11 და გამბედავი მეკრავი (გადმოკეთ.) №11.)
- როსტომაშვილი ი.:-ა) ზღვისა და ცის შუა (თარგ. ბიიზენიდან) №10.
- 47. საქარავლი :-ა) ზოსიმეს ოცნება(მოთხ) №4 და №5-6, ბ) მეთაური (მოთხ.) №1.
- 48. სამადაშვილი შ.:-ა) შეუწამლავი თესლი (ლექსი) №9.
- 49. სიხარულიძე ილია:-ა) გავხდეთ ინჟინერი (გადმოკ. ბარტოდან № 11,
- 50. ტყეშელაშვილი ნ.:-ა) ვანო და ზაქრო № 7-8.
- 51. უზნაძე მ .:-ა) ორი ბაყაყი № 7-8.
- 52. ქისტაური ვ :-ა) ხევსური ქალი — № 3
- 53 ქე ნ.ა) 7 კილომეტრის სიმალიდან № 5-6.
- 54. შამათავა დავით :-ა) რადიოცნობა (მოთხ.) № 1, ბ) ამანათი (მოთხ.) № 12. გ) შოზარდი ენთუზიასტები (ნოტები) № 2,
- 55. შავმარაშვილი თ.:-ა) მაისობა (ნოტები) № 7-8, სიმღერა (ნოტები) № 9.
- 56. ჩხეიძე ბორის :-ა.) მშვიდობით, საყვა-

- რელო როიალო (მოთხრობა) № 1, ბ) როგორ დავიწყე წერა № 12.
- 57. ცქვიტი: ა) ძია შიოს შეხვედრის ორი მომენტი-(მოგონება) № 1, ბ) პატარა შშენებლები (მოთხ.) № 7-8, გ) ქობულეთში (მოთხ) № 9 და № 10, დ) დედის ღიმილი (მოთხ.) № 11 და № 12.
- 58. ჭარელიშვილი იოსებ:-ა) პიონერული სალაში მთიდან (ლექსი) № 3. ბ) სოცმეჯობრება (ლექსი) № 4, გ) ჩამორჩენილის იმედი (ლექსი) №7-8
- 59: ჭანიშვილი პარმენა) შიოს გარდაცვალებაზე № 1
- 60 ჭიჭინაძე ლავრენტი:-ა) ჰეი, ბიჭებო (მოთხ) № 3, ბ) ირ. აბაშიძის სალამო (წერილი) № 5-6, გ) ჟუტუნა გოლიაძე (მოთხ.) № 7-8, დ) ისევ ყიფნა (მოთხ.) № 9, ე) ზამთრის საგზალი (მოთხრობა) № 10, სიხარულის დღეები № 01, ვ) ჩემი ზეიმი (მოთხ.) შახსევანელ აპჯის ძალი (თარგმანი რუსულიდან) № 12.
- 61. ხეჩია ლეოპოლდ:-ა) პიონერი სტეფანე (მოთხ.) № 4, ბ) პატარა მასწავლებელი (მოთხ.) № 5-6, გ) ბუნების მეჯლისი (მოთხ.) № 10, დ) მარწყვზე (მოთხ.) № 12.
- წარმატებით ჩავატარეთ „პიონერის“ იუბილე, ი) განსაკუთრებით მიხარია და კ) ქართული საბავშვო ჟურ. ისტორიისათვის № 12.
- 62. გრიშაშვილი იოსებ:-მოგონების ერთი ფოთოლი № 12.
- 63. ხერხეულიძე გ.:- 10 წ. ახალგაზრდას № 12.
- 64. მარიჯან: — მოზარდ თაობას — № 12
- 65. ცვარნაში დ.:- პატარებს — № 12
- 66. სიხარულიძე ილი.:- ლექსი -- № 12
- 67. სულავა ალ.:-) მხურვალე სალაში, „პიონერს“ — № 12
- 68. მთვარაძე ს.:- ჟურნალ „პიონერს“ № 12.
- 69. დარბინიანი მ.:- ა) სალაში „პიონერს“ № 12.
- 70. ქუჩიშვილი გ.:-ა) ბებიასმურია № 12.
- 71. ჯიღოთელი კ :-ა) „პიონერის“ იუბილეს ჩამტ. კომიტ-ში № 12.
- 76. გეგეჭკორი ლადო. ლექსი: ოქტომბრის სალაში № 12.

### 306 გამოცნო

1934 წ. ჟურნალ „პიონერის“ № 11 დახატულია 6 ხელი. № 5 ვრთერთი საბავშვო მწერლისა, გამოსაცნობი იყო მისი მეორე ხელი. მეორე ხელია №-4. ეს გამოცანა სწორად ამო-

იცნეს: ცილა მალრაძემ, გოგი საამიშვილმა, გიორგი გიორგობიანმა, ეთერ ჩარკვიანმა, მარგარიტა სევანმა, ქეთო მაცაბერიძემ, სილიკო ცინაძემ და ვთერ იაშვილმა.